სამშაბ თი, 26 ივნისი 1907 წ.

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი პირველი № 137

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილებით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

## „ისრი"-ს ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

«ისარი»-ს კანტორა აცხადებს იმათ საყურადღებოდ, ვისაც ფული არ შემოუტანია, რომ გაზეთის გზავნა მოესპობათ, თუ დროზე არ შემოიტანენ ხვედრ ფულს. პირველ ივლისიდან გაზეთი მოესპობათ: ტფილისში—ვისაც 4 მანეთზე მეტი არ შემოუტანია, ტფილისს გარედ—ვისაც 4 მან. და 50 კ. მეტი.

პირველ ივლისიდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირს: ტფილისში—4 მან. ტფილისს გარედ—4 მ. 50 კ., საზღვარ-გარედ—6 მან.

ერთი თვით გაზეთი ღირს: ტფილისში 75 კაპ., ტფილისს გარედ—80 კაპ., საზღვარ-გარედ—1 მან. 50 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ადრესის გამოცვლა ღირს: ტფილისიდან ტფილისს გარედ ერთი მანეთი, სხვა ადგილას—ორი აბაზი.

---

ნინო, გიორგი, მიშა და საშა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას უძვირფასესი დედის

**ეკატერინე** მიხეილის ასულის **დაფქვიაშვილისას**

დაკრძალვა მოხდება 26 თიბათვეს, რუსის ფერის-ცვალების გალავანში. (1—18—1)

---

ვარო გიორგის ასული ნაცვლიშვილისა, თამრო კონსტანტინეს ასული ნაცვლიშვილისა, კნ. სოფიო გიორგის ასული ჯანდიერისა, ვანო და გიორგი ნაცვლიშვილები, თიკო და სოლომონ ნასიძეები, კოტე ნიკო, ლადო, სიკო და მათე ახმეტელაშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობებთ და მეგობრებს გარდაცვალებას: პირველი—უსაყვარლეს მეუღლის, მეორე—დაუვიწყარ მამის, დანარჩენნი—ძმის, სიძის და ცოლი ძმის

**კონსტანტინე** გიორგის ძის **ნაცვლიშვილისას.**

გამოსვენება ოთხშაბათს, 27 ივნისს, დილის 8 საათზე ტფ. რკინის გზის სადგურიდან. დასაფლავება კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (2—182—1)

---

გენერალ-მაიორი როსტომ გიორგის ძე, პოლკოვნიკი ზურაბ გიორგის ძე ჩიკოიძენი და თინათინ სვიმონის ასული ჩიკოიძისა შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ 30 ივნისს, შაბათ დღეს.

**ალექსანდრე გიორგის ძე ჩიკოიძის**

გარდაცვალების წლის თავზე გარდახდილი იქნება პანაშვიდი სოფელ მეჯვრისხევში. (1—179—1)

---

ექიმი
**ა. ნ. დიასამიძე**

**განაზა და ვენერიული.** დილით 9—10 ს. საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

---

ექიმი
**მ. ხ. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

---

კბილის ექიმი
**ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (36)

---

ექიმი
**მ. მაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.-უ—76)

---

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**

იღებ ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—125)

---

თვალის ექიმი
**ზ. მ. ცხვედაძე**

დორპატის უნივერსიტეტის კლინკაში ასისტენტად ნ მყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველდღე დილ. 9—1 ს. და საღ. 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—180—1)

---

**ქუთაისში**

ექიმი მაჭიუხოვი.

მიიღებს **შინაგან, სიფილისით, ვენერიულ** ავადმყოფებს და **ბავშვებს. ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი** ნახველისა, შარდისა, გონოკოვისა და სხვ. დილით 11—2 საათზე, საღამოთი 6—8 საათზე. სამხედრო საავადმყოფო, შესავალ პატარა ჭიშკარიდან. (60—ფოს.—32)

---

ლამბაშიძის

# სანატორიუმი

პატარა-ცემში

ქალ-ვაჟთათვის 8—16 წლამდე.

პირობების გასაგებად ფოსტით უნდა მიმართონ, ბორჯომს ექიმ ვ. ლამბაშიძეს. (25—111—23)

---

# სამკურნალო

**სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის**

ფასი რჩევისთვის 50 კაპ.

**ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.**

ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

**რუდენკო**—შინ. სნეულ. დროებით წავიდა ქალაქიდან.

**იანჩევსკი**—ყურ. ყელ. და ცხვ. ყოველ დღე 2—3 ს.

**ვნუკოვი**—ქირურ. ყოველ დღე 2—3 ს.

**ანზიმოვი**—ყურ. ყელ. და ცხვირის დროებით წავიდა.

**ყალამქაროვი**—ქალისა და ბავშვისა, ყოველ დღე, 1—2 ს.

**გორაძლევიჩი.** შინაგ. ყოველ დღე, 1—2 ს.

**ინაევი.** ქალისა, დროებით წავიდა.

**თეთრაძე**—კან. და ვენერ. ყოველდღე 1—3 ს.

**ბოჟოვსკი**—შინ. შთაგონ. ყოველდღე 4—5 ს.

**მონზე**—ბავშვ. სამშ., ხუთშ., შაბ. 4—5 ს.

**ექიმი ქალი იოსელიანი:**—ქალ. ორშ., ოთხ., პარ. და კვირ, 11—12 ს.

**პავლოვცკი**—ქირურგ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ნევზოროვა**—კბილისა, ყოველდღე 11—5 ს. კვირ. 11—2 ს.

**რიდელი**—სიფილ., კან., ვენ., ყოველ. 4—5 საათ.

**პივარსკი**
**ჩუდნოვსკი** } კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—2)

---

# ქუთაისში

**ექიმი ს. ი. ხეჩინოვი**

აუწყებს საზოგადოებას, რომ მან შესწყვიტა ავადმყოფების მიღება მარიამობისთვის დამლევამდე. (3—კვ.—2)

---

**იბეჭდება და მალე გამოვა არტურ შნიცლერის ცნობილი თხზულება**

# ფერხული

ათი დიალოგი, ავტორის სურათითა და წინასიტყვაობით, **თარგმანი ია ეკალაძისა.**

გამყიდველებს დაეთმობათ ოციდან ოცდა ათ პროცენტამდე. ვისაც ამ წიგნის დაბარება სურს, მიმართოს: **ტფილისში, კიროჩნი ქუჩაზე, ამხანაგობა „ნდობის" გამგეს სვიმონ ბერძნიშვილს.** (10—უ—4)

---

## „ტფილ. საკრებულო"

ორშაბათს, 2 ივლისს, ტფილისის საკრებულოს საზაფხულო სადგომში, მამასახლისთა საბჭოს დადგენილებით, დანიშნულია **მეორე საზოგადო კრება** საკრებულოს წევრებისა ზოგიერთა სამეურნეო საკითხთა განსახილველად. საზოგადო კრება დაიწყება საღამოს 9 საათზე (1—177—1)

---



## ბევრისამუშაო

მშრომელ ქალებსა და კაცებს ყოველ დღე 8-დან 4 საათამდე შეუძლიანთ აიღონ 1 მ. 50 კ. და მეტიც დღეში, თუ ჩემგან იყიდიან საუცხოვო მსწრაფლ-მქსოვ მაშინებს, რომელთაც საზღვარ-გარედაც დიდი სახელი აქვთ გავარდნილი. ვთხოვ მხოლოდ ყველას, ნუ აურევენ ჩემ მაშინებს სხვა ფირმების მაშინებთან.

ამ მაშინაზე სამუშაოდ წინ და წინვე ცოდნა საჭირო არ არის. მაშინები აქვე გვაქვს. ძაფს მე ვყიდი და დამზადებულ საქონელს ნაღდ ფულად მევე ვყიდულობ აქ. დაწვრილებით ცნობებს სიამოვნებით ვაძლევ ყველას უფასოდ კანტორაში და ვგზავნი ფოსტითაც.

კანტორა მსწრაფლ-მქსოვ მაშინების წარმომადგენლისა კავკასიის და ამიერკავკასიისათვის ტფილისში ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ადრესი: Тифлисъ, Николаевская улица, № 9. (50—73.—47)

---

## ტფ. სათავად-აზნაურო გიმნაზიის გამგე

აცხადებს საყოველთაოდ, რომ მომავალ სამოსწავლო წლის დამდეგისთვის **თავისუფალი ადგილები არის მხოლოდ დაბალ მოსამზადებელ განყოფილებაში,** სადაც მიიღებიან ყმაწვილები არა უმცირეს შვიდის წლისა და არა უხნეს ცხრა წლისა. უფროს განყოფილებაში და გიმნაზიურ კლასებში ჯერჯერობით არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და ამიტომ ამ კლასებში მისაღებად თხოვნები არ მიიღება.

მისაღები ეგზამენები და ხელ-მეორედ გამოცდა გიმნაზიის მოწაფეებისა მოხდება 20 აგვისტოს შემდეგ.

თხოვნების მისაღებად და სხვა ცნობების მისაცემად გიმნაზიის კანცელარია ღიაა პარასკეობით და შაბათობით, დილის ათიდან ნაშუადღევის პირველ საათამდე. (4—6.—3)

---

## ტფ. სათავად-აზნაურო გიმნაზიის გამგე.

აცხადებს, რომ მომავალ სამოსწავლო წლიდან გიმნაზიურ კლასებისთვის საჭიროა: ფრანგულ, გერმანულ, ლათინურ, რუსულ და ქართულ ენების და მათემატიკის მასწავლებლები.

**თხოვნები მიიღება ივლისის ათამდე.**

დაწვრილებითის პირობების შეტყობა შეიძლება გიმნაზიის კანცელარიაში პარასკეობით და შაბათობით დილის 10-დან ნაშუადღევის 1 საათამდე. (3—6—3)

---

ნაჭრებად დაყოფილი

# მშვენიერი ბაღი

საბურთალოზე,

თ-ღ ხიმშიაშვილისა და მაკაროვის მამულების შუა, 15 წუთის სავალია ქალაქიდან, იყიდება ნაჭრობლივ. ფასი 1 მან. 2 მანეთამდე თითო ოთხკ. საჟ. ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. იკითხეთ ვერაზე, წყნეთის ქუჩა, № 2, სანდრო მინდიაშვილთან. (3—172—3)

---

**ახალი წიგნი**

წ.-კ. გ. წიგნის მაღაზიაში იყიდება ისტორიული მონოგრაფია

## „ამბოხება კახეთისა"
**1812 წ.**

**ა. ფრონელისა.**

**ფასი ერთი მანეთი**

იქვე იყიდება **„მთიულეთი 1804 წ."** იმავე ავტორისა. (20—უ.—17)

---

## „ტფილ. საკრებულო"

მამასახლისთა საბჭოს დადგენილებით ხუთშაბათობით დანიშნულია

**საბავშვო საღამოები**

საკრებულოს წევრებისა და კანდიდატების შვილებისთვის 6—9 საათამდე. (1—178—1)

---

## ტფილისი, 26 ივნისი

1899 წელს, რუსეთის მთავრობის თაოსნობით, ნიდერლანდის ქალაქ ჰააგაში შეიკრიბა სახელმწიფოთა წარმომადგენლების კონფერენცია საერთაშორისო მშვიდობიანობაზე მოსალაპარაკებლად. მთავარი მიზანი ასეთი იყო: სახელმწიფონი აღიარებენ, რომ ომი მავნებელია, არ შეეფერება თანამედროვე ჰუმანიტარულს იდეებს, რომ ახლანდელ განათლებულ სახელმწიფოთ სხვა გზითაც შეუძლიათ გადასწყვიტონ ერთმანეთში ატეხილი დავა და არ მიმართონ იმ მხეცურ საშუალებას, რომელსაც ომი ეწოდებაო. რასაკვირველია, დიპლომატებიც კი გრძნობდნენ, რომ დღევანდელს ისტორიულს პირობებში მუდმივის მშვიდობიანობის დამყარება ოცნებაა და სხვა არაფერი და ამიტომ მთავარი მიზანი ჰააგის კონფერენციას პრინციპიალურად უნდა ეღიარებინა, პრაქტიკულად კი უნდა განეხორციელებინა შემდეგი „მოსამზადებელი" ღონისძიებანი: 2) უნდა შეჰქმნან მუდმივი საერთაშორისო სამედიატორო სამართალი, რომელიც გაარჩევდა ყოველს საერთაშორისო დავას და ეცდებოდა მოქიშპე სახელმწიფოების შერიგებას და 2) უნდა გადაეწყვიტა, რომ სახელმწიფონი შეუდგებიან თან და თან იარაღის აყრას, თავის სამხედრო ძალების შემცირებას. ვინც იცის, რა არის თანამედროვე მილიტარიზმი, როგორ უხუთავს იგი სულს თანამედროვე კაცობრიობას, როგორის სიმძიმით აწევს იგი კისერზე ხალხებს, მისთვის გასაგებია ის თანაგრძნობა, რომლითაც მიეგებნენ პირველს კონფერენციას. თუმცა ბევრს არა სწამდა, რომ დიპლომატების და თანამედროვე ბურჟუაზიულ მთავრობათა წარმომადგენლების კრებას მნიშვნელოვან რამე საქმის გაკეთება შესძლებოდა მილიტარიზმის შესამცირებლად, მაგრამ ბევრი მაინც ჰფიქრობდა, რომ ამ ბნელ საქმეში ცოტა რამეც თუ გაკეთდა, იმასაც მნიშვნელობა ექნებაო საერთაშორისო ურთიერთობის გასაუმჯობესებლად. მაგრამ მოლოდინი გაცრუვდა: ჰააგის მაშინდელმა კონფერენციამ ვერ მოახერხა ვერც მუდმივ სამედიატორო სამართლის შექმნა, ვერც იარაღის თანდათანი აყრა: პირველის შესახებ წინანდელი წესი და ადათი დარჩა, ხოლო იარაღის აყრის თაობაზე სახელმწიფონი თანახმანი-გახდნენ „ყურადღებით შეესწავლათ ეს საკითხი და შემდეგ კონფერენციისათვის შეემუშავებინათ შესაფერისი პროექტები სამხედრო ძალების თანდათანის შემცირების შესახებ". ჰააგის კონფერენციას არც პრაქტიკული, არც ზნეობრივი მნიშვნელობა და შედეგი არ მოჰყვა. იგი უნაყოფოდ გათავდა, ხოლო იმ გარემოებამ, რომ სწორედ ამ კონფერენციის შემდეგ ასტყდა ორი უდიდესი და უმძიმესი ომი—ინგლისთა და ბურთა, რუსთა და იაპონელთა—სასაცილო კომედიადაც-კი გადააქცია სახელმწიფოთა მოლაპარაკება „მუდმივ მშვიდობიანობაზე".

მიუხედავად ამ გაკვეთილისა, სახელმწიფონი ეხლა ისევ შეიკრიბნენ ჰააგაში მეორე კონფერენციაზე. ეხლაც იმისვე ცდაში არიან, რომ დააწესონ მუდმივი სამედიატორო სასამართლო, რომელსაც სავალდებულო ხასიათი ექნება, ე. ი. მოდავე სახელმწიფოებმა, სანამ ომს გამოუცხადებენ ერთმანეთს, თავისი საქმე ამ საერთაშორისო სასამართლოს უნდა წარუდგინონ; მეორეს მხრით, დანიშნულია, ინგლისის თაოსნობით, იმის განხილვაც, თუ როგორ დაიწყოს საერთოდ იარაღის აყრა. ეხლა ძრიელ ცოტაა იმისთანა „უტოპისტი", რომელსაც რამე სწამდეს ჰააგის კონფერენციისა და თვით ბურჟუაზიული პრესსაც, რომელმაც 1899 წელს დიდი განგაში ასტეხა, ეხლა იმედებს აღარ აცხადებს და მხოლოდ მოკლე ანგარიშებსა ბეჭდავს კრების კამათის შესახებ. ამ მოკლე სახელმწიფო ანგარიშებიდანაც კარგად სჩანს, რომ მეორე კონფერენციაც ისე უნაყოფოდ ჩაივლის, როგორც პირველი, თუ უფრო არა... პირველი საკითხი უკვე გამორკვეულად ჩაითვლება: დიდ სახელმწიფოთა უმრავლესობა კვლავ წინააღმდეგია, რომ საერთაშორისო სასამართლოს რაიმე სავალდებულო ხასიათი ჰქონდეს. მით უმეტეს ჩაიფუშება მეორე საკითხიც: ზოგი დიდი სახელმწიფო, როგორც მაგალითად, გერმანია და ავსტრია იმის წინააღმდეგნიც კი იყვნენ, რომ ჰააგის მეორე კონფერენციაზე სჯა-ბაასი ყოფილიყო სამხედრო ძალების შემცირებაზე; დანარჩენ სახელმწიფოთა წარმომადგენელთ „სირცხვილად" მიაჩნიათ, რომ სჯა-ბაასი არ იყოს იმ საგანზე, რომელიც მთავარ მიზანს შეადგენს ამ კრებებისას და რომლის განხილვა მეორე კრებაზე 1899 წლის კონფერენციამ გადასდო; მხოლოდ ამიტომ შეიტანეს ამ სახელმწიფოებმა ეს საკითხი მორიგ საქმეებში, თორემ თითონაც არა სწამთ-რა...

ცხადია, მეორე კონფერენციასაც არავითარი მნიშვნელობა არ ექნება. კვლავ რამდენიმე წმინდა ტეხნიკური დადგენილება იქნება მოხდენილი და კომედია ამით დასრულდება. მუდმივ საერთაშორისო მშვიდობიანობაზე ლაპარაკი არ შეიძლება, სანამ განათლებული კაცობრიობა ძირიანად არ შესცვლის თანამედროვე სოციალურს წესწყობილებას, დამყარებულს არსებობისათვის ბრძოლის პრინციპზე ადამიანთა შორის. სანამ „ადამიანი ადამიანისთვის მგელია", სანამ კაცთა შორის მხეცური ბრძოლაა ლუკმა პურისათვის, მანამდის საერთაშორისო მშვიდობიანობაზე ლაპარაკი მხოლოდ კომედია არის. ერთა შორის მშვიდობასა და ძმობას მხოლოდ გამარჯვებული დემოკრატია დაამყარებს და არა ჰააგაში შეკრებილნი დიპლომატები, რომელნიც ძველ ავგურებივით ღიმილსაც-კი ვერ ჰფარავენ, როცა სიტყვა ჩამოვარდება სამხედრო ძალების შემცირების საჭიროებაზე.

# ახალი ამბავი

✦ **ისევ 250,000 მანეთის შესახებ.** „ნოვ. ვრემია" და სატახტო ქალ. სხვა გაზეთებში სწერია: „პოლიციას მიუგვნია კვალისათვის. აღმოჩნდა, რომ გატაცებულ ფულით დიდ ტერორისტულ აქტების მოხდენას აპირობენ პეტერბურგი. ასეთივე ცნობები შეუკრეფია მოსკოვის პოლიციას და ამის გამო დიდ სადგურებზე დაუყენებიათ მრავალი აგენტი, რომელნიც მგზავრებს თვალ-ყურს ადევნებენ.

✦ **სპარსელ-ქართველების მოგზაურობა.** სპარსელი ქართველები კიდევ ორს თვეს დარჩებიან ჩვენში და შემდეგ, ასე სექტემბრის პირველ რიცხვებში, სპარსეთს დაბრუნდებიან. მათ სურთ მოიარონ საქართველოს უმთავრესი ნაწილები, ამასთან გადაწყვეტილი აქვთ, დაბა-ქალაქებში სალიტერატურო დილა თუ საღამოები გამართონ, რომ გააცნონ ყველას სპარსელ ქართველების ყოფა-ცხოვრება. ამ დღეებში გავლენ ქართლისაკენ და შემდეგ იმერეთში გაივლენ. 29 ივნისს სალიტერატურო დილა გაიმართება ქ. გორში; კვირას, 1 ივლისს, დაბა ქიათურაში; 8 ივლისს ქუთაისში, შემდეგ ხონსა, ბათუმსა, ფოთსა, ოზურგეთსა, სენაკსა და სხვაგან. ქართლ-იმერეთის მოვლის

შემდეგ წავლენ კახეთისაკენ.

✦ **საარჩევნო სიები**. ტფ. ქალაქის გამგეობის განკარგულებით, გუშინ, 25 ივნისს, შეუდგნენ სახელმწიფო სათათბიროსთვის საარჩევნო სიების შედგენას. სიების შესადგენად ჯერ-ჯერობით მოწვეულია 14 კაცი. როგორც ვწერდით, თითოს თვეში 60 მან. დაენიშნა. უადგილოდ დარჩენილებმა ორჯელ სთხოვეს გამგეობას, შესცვალოს თავისი დადგენილება და ისინი მიიწვიოს. გამგეობამ ორჯერვე უარი გამოუცხადა.

✦ **ხმოსანთა არჩევნები**. 24 ივნისს დასრულდა ტფ. ქალაქის საბჭოს ხმოსნების და მათის კანდიდატების არჩევნები. ამ დღეს კრება მოხდა მეორე და მესამე საარჩევნო ნაწილისა. მეორე ნაწილში გამოცხადდა 32 კაცამდე, ხოლო მესამე ნაწილში—60. ხმოსანთა კანდიდატებად მეორე საარჩევნო ნაწილში არჩეულ იქმნენ: ა. ა. არაქელიანცი, გ. გ. შადინოვი, კ. ა. გონიევი, ვ. გ. კანდურალოვი და ი. ნ. მარკოზოვი. მესამე ნაწილის ხმოსანთა რიცხვს დააკლდა ერთი ხმოსანი და ამ დამატებით არჩევნებზე კენჭი უყარეს რამდენსამე კაცს. ხმის უმეტესობით არჩეულ იქნა ა. ვ. ბაბალოვი, ხოლო ხმოსანთა კანდიდატებად: ვ. ა. დემიდოვი, ა. გ. კრეტინინი, ძ. ნ. არონიშიძე, ვ. ა. ხომასურიძე და ა. პ. ქობულაშვილი. არჩევნების შედეგი გუშინვე წარედგინა დასამტკიცებლად გუბერნატორს.

✦ **ერობა ყუბანის ოლქში**. „პრიაზ. კრაი" იტყობინება, რომ მალე ეკატერინოდარში დაიწყება კრება მოხელეთა და ადგილობრივ წარმომადგენელთა. კრება განიხილავს ერობის შემოღების საკითხს ყუბანის ოლქში. კავკ. ნამესტნიკს უცნობებია ოლქის ადმინისტრაციისთვის, რომ კაზაკებს ცალკე ერობა უნდა ჰქონდეთ, სხვა ერებს ცალკეო და მხოლოდ საზოგადო საქმეების განხილვის დროს ორივე ერობა შეერთდებაო.

✦ **გაზეთის დაკეტვა**. ტფ. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, სამხედრო წესების მოხსნამდე დაიკეტა სომხური გაზეთი „ჟაირი". შრიფტი წაიღეს

✦ **ტფ. გენ. გუბერნატორის განკარგულება.** ვიატკის გუბერნიაში ხუთი წლით იგზავნება ა. სარქისოვი, ა. ბასმაჯევი და ო. კტიანცი. სამივეს იარაღი აღმოაჩნდა. ტფილისის გუბერნიიდან იგზავნებიან მიხეილ ალბარიშვილი და შ. მანუჩაროვი.

✦ **მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.** 22 ივნისს ზემმელის აფთიაქის მოსამსახურეებმა მოთხოვნილებები წარუდგინეს აფთიაქის პატრონს, რომელიც ზემმელმა ორი დღის შემდეგ დააკმაყოფილა.

✦ **თავდასხმა.** პოლიციის მე-9 ნაწილში მიხეილის ქუჩაზე ოთხი შეიარაღებული კაცი თავს დაეცა ა. ბაბაევს. ბაბაევი დასჭრეს დანით, წაართვეს 366 მ. 80 კაპ., საათი და მიიმალნენ. ნიკოლოზის ქუჩაზე, 24 ივნისს, საღამოს 5 საათზედ, მეპურეს სერგო დავლიანიძეს შეუვარდა 2 უცნობი შეიარაღებული კაცი, მეპურეს წაართვეს 60 მან. და მიიმალნენ.

✦ **მეოთხე გიმნაზია.** კავ. სამოსწავლო ოლქის სამზრუნველო საბჭოს დადგენილებით ტფ. ვაჟთა მე-4 გიმნაზიის მე-6 კლასი არ გაიხსნება მომავალ სამოსწავლო წლის განმავლობაში.

✦ **გაფიცვა აფთიაქში.** ტფ. მეაფთიაქებმა, თითქმის ყველამ, შეუსრულეს მომუშავეებს მოთხოვნილებანი. მარტო იონესიანი, რომელსაც იჯარით აქვს გოლოვინის პროსპექტზე ქალაქის აფთიაქი, წინააღმდეგი გახდა. საქმე ისე გამწვავდა, რომ აფთიაქში მომუშავენი გაიფიცნენ. იონესიანმა საგუბერნიო სამართველოს შეატყობინა, ფარმაცევტები და შეგირდები გაიფიცნენ და ამიტომ დავითხოვეო.

✦ **ფულის გატაცება.** 23 ივნისს ნატანებსა და ქობულეთ შუა შემდეგი ამბავი მომხდარა: მატარებლით მონავალებულო ნატანებთან სოფელ საჯავახოს მცხოვრები სტეფანე თარგამაძე, რომელსაც თან ჰქონია 3800 მან. იმავე მატარებლით მინავალა 4 უცნობი შეიარაღებული კაცი. როდესაც დრო შოუხელებიათ, მისცვივნიან, წაურთმევიათ ეს ფული, გაქანებულ მატარებლიდან გადმომხტარან და გაქცეულან.

თარგამაძე გამოსდევნებია უცნობებს და ისიც გადმომხტარა ვაგონიდან, დაშავებულა. თარგამაძე ბათუმის საავადმყოფოში გაუგზავნიათ.

✦ გვთხოვენ დავბეჭდოთ: „ნაძალადევის სამკითხველოს გამგე ქნი მ. დემურია უღრმეს მადლობას უძღვნის ბ-ნ ივ. მაჭავარიანს, რომელმაც ნაძალადევის უფასო სამკითხველოს შემოსწირა საუკეთესო წიგნები".

✦ 24 ივნისს პოლიციელებმა მე 10 საპოლიციო ნაწილში, დააპატიმრეს გიორგი დვალი, რომელსაც ივანე ხხეიძის მოკვლას აბრალებენ. დაპატიმრებული მეტეხის ციხეში გაჰგზავნეს.

### სალიტერატურო დილა
#### სპარსელ ქართველების შესახებ.

კვირას, 24 ივნისს, ტფ. საკრებულოს სადგომში გაიმართა სპარსელ ქართველების შესახებ სალიტერატურო დილა, რომელსაც იმდენი ხალხი მიაწყდა, რომ დარბაზი გაიჭედა. პირველად ბ-ნმა დავით კარიჭაშვილმა გააცნო დამსწრეთ შაჰ-აბაზის მიერ მე-16 საუკუნეში ქართლისა და კახეთის აკლების ამბავი. შაჰ-აბაზმა 60,000 სული აქვე ადგილობრივ გაჟლიტა და გადასწვა სოფლები და ქალაქები; სპარსეთისაკენ ტყვედ წაიყვანა 120,000 სული. ტყვედ წაყვანილთა უმრავლესობას ქალები და ბავშვები შეადგენდნენ თურმე. დიდი ნაწილი გზაში ამოწყვეტილა; ვინც გადარჩენილა, ისინიც საქონელივით დაუყიდნიათ.

ბ-ნ კარიჭაშვილის შემდეგ იაკობ ცინცაძემ დამსწრეთ გააცნო განსვენებულ ლ. აღნიაშვილის მოგზაურობა სპარსეთსა და იქაურ ქართულ სოფლებში. აღნიაშვილი ამ ათის წლის წინად იყო სპარსეთში, მოგზაურობა ცალკე წიგნად გამოსცა და აღწერა ფერეიდანის ქართველების ცხოვრება. აღნიაშვილი იწვევდა ქართველ საზოგადოებას, დახმარებოდა სპარსელ ქართველებს, შეეტანა იქ წერა-კითხვა. ი. ცინცაძე, სხვათა შორის, შეეხო ლ. აღნიაშვილის წიგნის ამ ადგილს და სთქვა, რომ დღემდე აღნიაშვილის მოწოდება დარჩა ხმად-მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. განსვენებულმა 40,000 ქართველი იპოვნა, ჩვენ-კი თანამოძმეების გაცნობა, მათი ცხოვრების შესწავლაც ვერ შევძელითო.

უმთავრესს ინტერესს ამ „დილაზე" ყოლამოსეინ ონიკაშვილის ლექცია წარმოადგენდა. სინამდვილემ მოლოდინს გადააჭარბა. ყველა გაოცდა, როდესაც ონიკაშვილმა მაღალის ხმით და წმინდა ქართული ენით მკაფიოდ და გარკვევით დაიწყო ლაპარაკი.

ონიკაშვილი შეეხო ფერეიდანის ქართველების ყოფა-ცხოვრებას. მე ბედნიერად ვსთვლი ჩემს თავსაო, სთქვა ონიკაშვილმა, რომ სამას წლის წინად გადახვეწილ და ტანჯულ სპარსეთის ქართველთაგან პირველად მე მხვდა წილად პატივცემულ ქართველ საზოგადოების წინაშე გამოსვლა და ფერეიდანელ ქართველების ყოფა-ცხოვრების გაცნობა. როგორც გადმოცემით ძველებისაგან გაგვიგია, საქართველოდან შაჰ-აბაზს 100,000 ქართველზე მეტი წაუყვანია ტყვედ. ქართველ ტყვეებს ძალზე მიერეკებოდნენ თურმე, ვიდრე მდინარე არეზს გადავიდოდნენ. ამ დროს დიდძალი ქართველობა უნდა გამწყდარიყოს, განსაკუთრებით ქალი და ბავშვი. ვისაც ისპაჰანამდე მიუღწევია, სხვა და სხვა ადგილებში დაუსახლებიათ. ქალთა და ბავშთა დიდი ნაწილი დაყიდულა მონებად. სპარსეთის ხანებს ქართველი ქალებით აუვსიათ თავიანთი არამხანები. ერთი ნაწილი დაუსახლებიათ ისპაჰანის ახლო 40 ვერსის მანძილზე. შემდეგ შაჰ-აბაზ აქედანაც აუყრია ქართველები და ჩაუსახლებია მთებში, ბახტიარების საზღვარზე. ქურთი ბახტიარები დღემდე მოუსვენარი და თითქმის ველური ხალხია და უმთავრესად ცარცვა-გლეჯით სცხოვრობს. სპარსელებს ამ ბახტიარებისაგან მოსვენება არა ჰქონიათ, ამიტომ ქართველები იმ კუთხეში ჩაუსახლებიათ, სადაც სპარსელებს ეცავდნენ. როცა ქურთები სპარსელების დასარბევად მიდიოდნენ, პირველად ქართველთა სოფლები უნდა გადაელახათ. დღემდე ქურთებისაგან შეწუხებულნი არიან ფერეიდანელი ქართველებიო.

შემდეგ ონიკაშვილმა მოიყვანა ამბები ქართველთა მიერ სჯულის გამოცვლის შესახებ; მოკლედ გააცნო დამსწრეთ ფერეიდანელ ქართველთა ცხოვრება ყვენების შაჰ-ამოზიდან დაწყებული დღემდე. რამდენჯერმე აუკლიათ ქართველობა თუ ავღანის შემოსევის დროს, თუ ქურთების. თუ თვით სპარსეთის შაჰებს. აღა მაჰმად-ხანს, საქართველოდან დაბრუნების შემდეგ, სრულიად გადაუწვამს და გაუნადგურებია ქართველები. მრავალი დახოცილა, მრავალი სხვა კუთხეებში გაქცეულა. ბოლოს ისევ დაბრუნებულან, ცოტა მოღონიერებულან, სახლ-კარი განუახლებიათ და ნელნელა მიწასთან გასწორებული 14 სოფელი აუშენებიათ და აუვსიათ.

უფრო საინტერესო იყო ონიკაშვილის მოხსენების მეორე ნაწილი, რომელიც შეეხებოდა ფერეიდანის ქართველობის ეხლანდელ ცხოვრებას. ხალხი მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაშია მიწაწყლის სიმცირითაო. უმრავლესობა ხვნათესვას მისდევს, მაგრამ მიწა ყველას არა ჰყოფნის და ამის გამო ზოგს ფეხზე ვაჭრობა დაუწყია, ზოგს მეცხვარეობისთვის მოუკიდნია ხელი და სხვ. ფერეიდნის ქართველობას მოჰყავს პური, ქერი, დიკა, მუხუდო, ლობიო, ოსპი და სხვა. ზამთარი ხუთ თვეზე მეტი იცის და ხანდახან ისეთი დიდი თოვლი მოდის ხოლმე, რომ ხალხი ხშირად მთელის თვეობით კარში ვერ გამოდის. ტყე არსად მოიპოვება და ხალხი შეშის მაგივრად ხმარობს წივას ან ეკლიან ბალახის ბუჩქებს, რითაც ზამთრისათვის თითო მოსახლე ორს საბძელს მაინც აივსებს ხოლმე. ამ საშეშო ეკლის მოსაგროვებლად ხალხი ხშირად 20, 40 ვერსის მანძილზე მიდის. ასევე გაჭირვებულია საქონლის საკვების მოტანა. არც ყანებში შეიძლება თავისუფლად მუშაობა. სამუშაოდ ქართველები თავით ფეხამდე შეიარაღებულნი მიდიან, რადგან მუდამ წამს მოსალოდნელია ქურთების თავ დასხმა. ქართველებმა რამდენჯერმე შეისყიდეს ადგილები. ექვსი სომხებით დასახლებული სოფელი საკუთრება ყოფილა ფერეიდანელ ქართველებისა. სომხებს იჯარით აქვთ აღებული ადგილი.

ქრისტიანობის დროისა ბევრი ჩვეულება დარჩენილა ფერეიდანის ქართველობაში. მაგალითად, ახალ წელს დღესასწაულობენ ისე, როგორც ჩვენ. როცა გაზაფხულის 4 დღე გავა, დღესასწაულობენ აღდგომას წითელ კვერცხების შეღებვით; დღესასწაულობენ ამაღლებას და სხვ. მნიშვნელობა კი ამ დღესასწაულებისა არ იციან.

ქართველები ცოლად არ ირთავენ სხვა ტომის ქალსა და არც იმათ აძლევენ ქალებს. მრავალ-ცოლიანობა ქართველებმა არ იციან. სპარსელებისა და სხვა მეზობელ ხალხებისაგან ქართველები განირჩევიან სახით, ტანისამოსით, პურადობით, გულადობით, თავმოყვარეობით, იარაღის ხმარებით და ერთმანეთის დახმარებითა და გამტანობით. ქურთებთან მუდამ ბრძოლას და აგრეთვე დიდ გარჯა-შრომას ისე გაუფრთხილდებია ფერეიდანის ქართველობა, რომ მთელს ისპაჰანის პროვინციაში სახელი აქვთ გათქმული.

სწავლა-განათლების საქმესაც, სხვა მეზობელ ხალხებთან შედარებით, ქართველები მუყაითად მისდევენ. 4 სკოლა ჰქონიათ მარტყოფში, ორი აფუსში და აგრეთვე სხვაგან. თუმცა ქართველებს სკოლები საკმაოდა გვაქვს, მაგრამ ამ სკოლებში მიღებული ცოდნა ცხოვრებისათვის სრულიად გამოუსადეგარიაო, სთქვა ონიკაშვილმა. ვსწავლობთ, მაგრამ არ ვიცით რისთვის. თვითონ სკოლა ცუდად არის მოწყობილი, ბავშვები ძირს მიწაზე სხდებიან, ხოლო მასწავლებლები ჯოხებით ხელში თავზე adგანან. ისეა სწავლების საქმე, რომ არც მასწავლებელმა იცის, რას ასწავლის და არც მოსწავლეს გაეგება რამ მასწავლებლისა. სწავლა სპარსულსა და არაბულს ენებზეაო.

ონიკაშვილმა თითქმის ორი საათი ილაპარაკა და საუცხოო შთაბეჭდილება მოახდინა. დასასრულ, სთქვა, ამის შემდეგ იმედი გვექნება ფერეიდანის ქართველების საქართველოსთან დაახლოვებისა. ვიმედოვნებდ, რომ ჩვენი ძმები დახმარებას გაგვიწევენ ფერეიდანში სწავლა-განათლების შეტანითაო.

ონიკაშვილი რამდენჯერმე ტაშის ცემით დააჯილდოვეს.

## ქუთაისის ქრონიკა

✦ წრეულს ქუთაისის ვაჟთა გიმნაზია დაამთავრა და ატესტატი მიიღო 53 ახალგაზდამ. აქედან 37 ქართველია, 9 რუსი. 4 სომეხი, 2 ებრაელი და 1 ბერძენი 31 ექსტერნიდგან ატესტატი მარტო 18 კაცმა მიიღო. აქედან 14 ქართველია, ორი რუსი, ერთი სომეხი და ერთიც ბერძენი.

✦ დეპუტატთა საკრებულოს კანცელარიას 400 მეტი თხოვნა მიუღია ახალგაზდებისაგან, რომელთაც სტიპენდიების მიღება სურთ. თავად-აზნაურთა უკანასკნელმა კრებამ გადასწყვიტა, რომ 1 ივლისიდან თხოვნების მიღება შეწყდეს და სტიპენდიები განაწილდეს მათ შორის, ვისაც შეტანილი ექნება თხოვნა 1 ივლისამდე და ვინც ღირსად იქნება ცნობილი.

✦ ქართულ გიმნაზიის შენობის ასაგები თანხა მოსვენებას არ აძლევს სხვა და სხვა პირს. უკვე გაცნობეთ, რომ დეპუტატების საკრებულოს მოსამსახურეთა დასაკმაყოფილებლად ამ ფულიდან გამოაქვთ 6.000 მანეთი. ეხლა, როგორც გავიგეთ, ამავე ფულიდან სწადიათ დააკმაყოფილონ თავად აზნაურთა წინამძღოლები, რომელთაც სამი წელიწადია თავად-აზნაურთა კრების მიერ დანიშნული ფული საკანცელარიო ხარჯად არ მიუღიათ. თითო წინამძღოლს წლიურად უნდა მისცემოდა 300 მანეთი, მაშასადამე, სამი წლის ხვედრი ფული შეადგენს 900 მანეთს და რადგან წინამძღოლთა რიცხვი შვიდია, ყველას ერთად ერგებათ 6.300 მანეთი. აზოვ-დონის ბანკში სულ 36.000 მანეთია და ასე წვრილ-წვრილად რომ ზიდონ ფული, ცოტა ხნის შემდეგ გროშიც აღარ დარჩება.

✦ ქუთაისის ქალაქის გამგეობის და საამშენებლო კომისიის აზრით ელექტრონის ფარნებით უნდა განათდეს შემდეგი ქუჩები: ტფილისისა ვაკზლიდან დაწყებული ოლქის სასამართლოს შენობამდე, ლევაშოვისა, პოლიციისა, ივანოვისა, გენერლისა, ალექსანდრესი, პუშკინისა, მიხეილისა, ბალახვანისა, ბულვარის მიდამოები, ორპირისა, გეგუთისა და მესხეთის ქუჩების ერთი ნაწილი, არქიელის გორის ქუჩა მეორე შესახვევამდის, ბაღის ქუჩა და სამივე ხიდი.

✦ ქუთაისის ცეცხლისაგან ერთ ერთ დამზღვევ საზოგადოებას შარშან დიდი ზარალი მოუვიდა. ამ ჟამად ზარალი 57 ათასი მანეთია. ზარალის დასაფარავად საზოგადოებას აქვს სათადარიგო თანხა 25 ათასი მანეთი, დანარჩენი 32 ათასი მანეთი უნდა ზღოს საურთიერთო დამზღვევ საზოგადოებათა კავშირმა. კავშირს უცნობებია ქუთაისის საზოგადოებისათვის, რომ 32 ათასი მანეთიდან ამ ჟამად ზღავს დაახლოვებით 8 ათას მანეთს, ხოლო დანარჩენს გადმოსცემს მიმდინარე წლის განმავლობაში.

✦ თავად აზნაურობის საგანგებო კრებაზე 15 ივნისს გადაწყდა: ა) აღიძრას შუამდგომლობა, რომ ქუთაისის გუბერნიაში შემოღებულ იქმნას საერობო დაწესებულებანი და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი; ბ) დეპუტატთა საკრებულოს მოხელეთ ჯამაგირი ეძლიოთ სახელმწიფო ხაზინიდან იმ პირობით, რომ ადმინისტრაციამ თითონ აკრიფოს თავად-აზნაურთაგან დაწესებულებათა შესანახავი გადასახადი; გ) აღიძრას შუამდგომლობა, რომ ყოფილ გამგეს სათავად-აზნაურო სასწავლებლისას ბ-ნ ალექსი ქიქინაძეს სახელმწიფო სამსახურში ჩაეთვალოს ის დრო, რომელიც მან დაჰყო სათავად-აზნაურო სასწავლებელში; დ) სამზრუნველო კომიტეტის წევრებად, ძველების გარდა, არჩეულ იქმნენ სპირიდონ ჯორჯიკია და თ. დავით მიქელაძე; ე) ქართულ გიმნაზიის შენობის ასაგებ საამშენებლო კომისიაში არჩეულ იქმნენ თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავმჯდომარეობით შემდეგი პირნი: თ-დნი: დავით ნიჟარაძე, კირილე ლორთქიფანიძე და ბეჟან წერეთელი და ვ) სტიპენდიების განმანაწილებელ კომისიაში მაზრების წარმომადგენლებად არჩეულ იქმნენ: ქუთაისის მაზრიდან—თ-დი დავით წულუკიძე, ოზურგეთის მაზრიდან სიო ბერიძე, სენაკის, მაზრიდან—თ-დი ბესარიონ მხეიძე, ზუგდიდის მაზრიდან—სპირიდონ ჯორჯიკია, შორაპნის მაზრიდან—თ-დი ბეჟან წერეთელი, ლეჩხუმის მაზრიდან—კონსტანტინე ახვლედიანი და რაჭის მაზრიდან—დავით ბაქრაძე.

### შავი ქვის მრეწველთა მეცხრე კრება.
21 ივნისი.

კრების გახსნისათანავე კიტა აბაშიძემ განაცხადა: გერმოდ კრებაზე შეთანხმება მოხდა და ჩემი მოხსენება მუშათა წარმომადგენლობის შესახებ მეორე ცვლილებით მიიღეს იმათაც, რომელნიც გუშინ წინააღმდეგნი იყვნენ პროექტისა.

ი. პერსენაკიმ განაცხადა, რომ მუშათა წარმომადგენლობის მონაწილეობა კრებაში შებოჭავს მუშებსაო.

**ბარ. მოსეშვილი**: მწუხარებით უნდა აღვნიშნო, რომ კრების ზოგიერთი წევრნი გულ-წრფელად არ ეკიდებიან საქმეს. მუშათა წარმომადგენლობა მრეწველთა კრებაში მე სასარგებლოდ მიმაჩნია, მაგრამ ისეთ საკითხებში, რომლებიც მუშების ინტერესებს ეხება. ხოლო ანგარიშის დამტკიცება, ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და სხვა ამ გვარი საქმენი სრულებით არ ეხება მუშებს და მათმა წარმომადგენლებმა აქაც უნდა მიიღონ მონაწილეობა. აქ ყურები გაგვ ჭედეს იმ პირთ, რომელთაც თავიანთი თავი მუშათა ინტერესების დამცველად მიაჩნიათ, ნამდვილად-კი ვნების მეტი მუშებისთვის არაფერი მოაქვთ. მათის მეოხებით და ხელმძღვანელობით აკრძალულია კვირა-უქმე დღეებში მუშაობა ჭიათურაში იმ დროს, როცა ლუკმა პურის მონატრული ათასობითაა და სამუშაოს ვერსად შოულობენ; იმავე პირთა ჩაგონებით, როცა სულთან-კრიმ-გირეი გურიაში მოგზაურობდა, ხალხმა განაცხადა, ქართული ენა არ გვინდა სასწავლებელსა და დაწესებულებაში...

**ვ. გოგიბერიძე**: სტყუით...

**ბარ. მოსეშვილი**. იმავე ხელმძღვანელმა ორი წლის წინად უარი განაცხადეს ერობის შემოღებაზე; ერთის სიტყვით ყველგან მათ მოღვაწეობას ვნების მეტი არაფერი მოაქვს. მათი ხელმძღვანელობა ჩვენ არ გვჭირია და ჩვენ თვითონ ვიცით, როგორ უნდა მოვაწყოთ საქმე. ვიმეორებ, მუშათა წარმომადგენლობა სასარგებლოდ მიმაჩნია, მაგრამ რიცხვი წარმომადგენლებისა 2-3 კაცს არ უნდა აღემატებოდეს. ამასთან ვითხოვ, რომ საკითხი ფარულ ს კენჭის ყრით გადაწყდეს.

**კიტა აბაშიძე.** ბ-ნმა მოსეშვილმა გულწრფელობის უქონლობა დაგვწამა. გულწრფელობა ისეთი თვისებაა კაცის, რომ მას ხშირად თავხედობაც საზღვრავს, რაც ბ-ნ მოსეშვილსაც ემართება. საკითხი მუშათა წარმომადგენლობის შესახებ ერთხმად გადასწყვიტა მრეწველთა მერვე კრებამ; ნამესტნიკმა და სამინისტრომ შეიწყნარეს ჩვენი გადაწყვეტილება. ამ კრებაზე ცალკე სარევიზიო კომისიამ და ცალკე წევრებმა გვიკიჟინეს, რატომ მიმდინარე კრებაზე არ განვახორციელეთ მუშათა წარმომადგენლობა; ეხლა-კი როცა საქმის განხორციელება მოვიწადინეთ. გულ-წრფელობის უქონლობას გვიკიჟინებენ.

**ი. კაკაბაძე.** მრეწველნი საქმეს მხარს უხვევენ და ლაპარაკობენ სულთან კრიმ-გირეიზე, ერობაზე...

**თავმჯდომარე**. ისე, როგორც თქვენ აუხვიეთ საქმეს მხარი...

**ი. კაკაბაძე.** წარმომადგენლობა უკიდურესად უნდა შეამციროთ, მაგრამ ამით ვერას გააწყობენ: თუ მუშებს აქ არ მისცემენ ხმას, მაშინ ისინი თავიანთ უფლებას სხვა რიგად მოიპოვებენ. შრომას დიდი წილი უდევს სიმდიდრის შექმნაში; ამ სიმდიდრემ მრეწველთა შორის წარმოშობა პირუტყული ეგოიზმი, რომელიც ღირსია იმისი, რომ აღმოიფხვრას და კიდევაც აღმოიფხვრება...

**თავმჯდომარე**. 5 წამი გავიდა.

**ი. კაკაბაძე.** დიდადა ვწუხარ.

თავმჯდომარემ საკითხი გამორკვეულად სცნო. უნდა ფეხზე წამოდგომით გადაეწყვიტა საქმე, მაგრამ 20 კაცმა მოითხოვა, ფარულის კენჭის ყრა.

**ი. კაკაბაძე**. გთხოვთ აღნიშნოთ ოქმში, აქამდის არც ერთი საკითხი არ გადაწყვეტილა დახურულის კენჭის ყრით.

თავმჯდომარემ პირველად დააყენა საკითხი-გადამწყვეტი ხმა მიეცეთ მუშათა წარმომადგენელთ თუ სათათბირო. 50 ხმით, წინააღმდეგ 16 ხმისა მუშათა წარმომადგენელთ გადამწყვეტი ხმა არ მიეცათ.

შემდეგ დაუდგეს ყუთი ამ საკითხს — სამი წარმომადგენელი ჰყავდეთ მუშებს სათათბირო ხმით, თუ 12. 51 ხმით 15 ხმას წინააღმდეგ მუშებს მიეცათ სამი წარმომადგენელი მრეწველთა კრებაზე სათათბირო ხმით. არჩევნების წესი მცირე ცვლილებით იქნა მიღებული.

კრების განსახილველად დარჩა ხარჯთ-აღრიცხვა, შავ-ქვაზე დაწესებულ გადასახადის 2 კაპეიკამდე გადიდება და არჩევნები. კრება გადაიდო 23 ივნისისათვის.

# პროვინციის ცხოვრება

**ს. მარტვილი** (სენაკის მაზრა). რაც ათასმა უბედურებამ სოფელს ჭირი დამართა, იმაზე არა ნაკლები ზიანი მოაქვს ძალზე გავრცელებულ ქურდ-ბაცაცობას. დღე ისე არ გაივლის, რომ ქურდობა და ავაზაკობა არ მოხდეს. 6 ივნისს, 12 საათზე რვა შეიარაღებული კაცი თავს დაესხა სტეფანე გაბისონიას; ხუთი მათგანი სახლში შევიდა, ხოლო სამი გარედ დარაჯობდა. ს. გაბისონიას წაართვეს, რაც კი ებადა ფულად თუ ხორაგად, თითონ სტეფანეს უდგითოთ სცემეს და დაემუქრნენ, სახლს დაგიწვავთ, თუ სადმე გითქვამს რამე. ეს არ აკმარეს და მოხუცებულ გაბისონიას თვალ-წინ გააუპატიურეს მისი ქალი. ამ საზიზღრობის ჩადენის შემდეგ მძარცველები წავიდნენ. გაჩნდნენ მეზობლები, იკითხეს მძარცველების ვინაობა და აღმოჩნდა, რომ ისინი ყოფილან ამავე სოფლის მკვიდრნი ალ. მ—ია, ჯ. ჯ—ვა, პ. თ—ია, მ. ჯ—ია. საქმე გადაეცა გამომძიებელს, რომელმაც დასახელებული პირნი დააპატიმრა, მაგრამ ცრუ-მოწმეების და ძმა ბიჭების მეოხეობით ეჭვი არ არის, საზიზღრობის ჩამდენნი სამართლისგან თავს დააღწევენ და კვლავ განაგრძობენ თავიანთ სამარცხვინო ხელობას. ამ მხრით საზოგადოებამ თვით უნდა გამონახოს საშუალება ასეთ კაცების დასასჯელად, თორემ პოლიციური ზომები ვერას გახდება. **გ. ბ. ს.**

---

**აბჟუვა** (კოდორის ნაწილი სოხუმის ოლქისა). როგორც საზოგადოდ მთელს დასავლეთ საქართველოში, აქაც ძალიან დიდი გვალვებია. ივნისის პირველ რიცხვიდან აქაიქ ცოტა წვიმა წამოვიდა, განსაკუთრებით 10 ივნისს, მაგრამ მხოლოდ ზოგან, განსაკუთრებით მთის კალთებზე მდებარე სოფლებში. ამ გვარ სოფლებში კიდეც დაითესა სიმინდი გვარიანად. საზოგადოდ კი, 16 ივნისს, რაც ჩვეულებრივ ითესებოდა, იმისი მეათედიც არ არის დათესილი. მოხუცნი ამბობენ, გაგონებითაც არ გაგვიგონია ამისთანა გვალვაო. ასეთმა გაჭირვებამ სოფლელები აიძულა მოერწყოთ თავიანთი საყანე მიწები, რომელსაც კი წყალი უდგებოდა. მაგალით. სოფ. ფოქვეში ზოგიერთებს გადმოჰქავთ წყალი, რწყავენ და ისე ხნავენ. სამწუხაროდ, გვიან მოჰკიდეს ამ საქმეს ხელი.

ამასთან გაჩნდა შავი მოლიდო რწყილის მგზავსი მწერი, რომელიც კომბოსტოს და სხვა ამისთანა მცენარეს სჭამს. ეს მწერები თურმე ამოსულ სიმინდსაც ანადგურებენ. მწერი მდინარე დალიძგის დასავლეთ მხარეს მგონი ჯერ არ გადასულა.

მოუსავლობის შიშით ძველ სიმინდს აღარ [illegible] ყიდიან. ვინც იძულებულია სხვა და სხვა გარდასახადის გასასტუმრებლად სიმინდი გაჰყიდოს, ფუთში იღებს ოჩამჩირეში ჩატანით 60-65 კაპ. ქუთაისში კი დღეს (18 ივან.) ფუთი ფქვილი რვა აბაზს ფასობს. უბედურება ის არის, რომ ჩვენში სხვა და სხვა ამხანაგობა ისე ვერ განვითარდა, რომ ასეთ შემთხვევაში ერთ კუთხეს ფასი სამეურნეო ნაწარმოებისა ასწიოს, მეორეში დასწიოს.

რაც შეეხება საშეგრელოსა, ერთმა ზუგდიდელმა სანდო პირმა მითხრა: ზუგდიდის მაზრაში მთაგორიან სოფლებში (მეგრულად „დაკადებს“) უფველ ოთხ მოსახლეში ერთს სიმინდი უსათუოდ აკლიაო ნაყიდი სიმინდით იკვებება და ახლის იმედიც არა აქვთო.

ქურდობა-ავაზაკობამ, რომელიც ამ წლის იანვრიდან საკმაოდ მიწყნარებული იყო, ახლა კვლავ იმატა აბჟუვაში. საჭიროა დროზე შესაფერ ზომების მიღება. **Sch.**

---

### მწიგნობრობის გავრცელების საქმე იმერეთში

ორი თვე გადის, რაც ჩემი წიგნის მაღაზია და ჟურნალ-გაზეთების კანტორა „კოლხიდა“ ადმინისტრაციის განკარგულებით დაკეტილია. დღემდი ყველა ჩემი წიგნები ფქვილის ტომრებში სიმინდივით ჩაყრილი და წონით (68 ფ.) წაღებული ხან პოლიციაში ეყარა, ხან ჟანდარმთა სამართველოში. დღეს წიგნები უკვე დამიბრუნეს, მაგრამ ათამდი ცალი ჟანდარმთა სამმართველოს აკრძალულად უცვნია და დაიტოვა, ხოლო ორი ამდენი დროებით გადატან-გადმოტანასა და სხვა და სხვა დაწესებულებაში თრევის დროს დაკარგულა, და რაც დამიბრუნდა უმეტესი ნაწილი ისიც გაოხრებულია. ამ ხნის განმავლობაში მაღაზიის დაკეტვით ორიდან სამი ათას მან. ზარალი მაქვს გარდა იმ ზნეობრივ-ფიზიკურ ტანჯვისა, რასაც დღემდი და ახლაც განვიცდი. გარედ გამოგდებული, ამ დროს ქუჩაში ვაწარმოებდი გაზეთების საქმეს და საზოგადოებისათვის ეს გონების საზდო მაინც არ მომიკლია. ერთი სიტყვით, ვცდილობდი და ვცდილობ ეს კერძოდ გამოწყებული და მოწყობილი საზოგადო საქმე ბევრ ჩვენებურ საზოგადო საქმეებსავით არ ჩამქრალიყო, და ჩვეულებრივი ძველებური სახე არ მიეღო.

შარშანს აქეთ, ამ ერთის წლის განმავლობაში, ბევრი უბრალოთ სხვის სულსა და გულში ხელის მფათურებელი, ქვენა, საანგარო აზრებით მომქმედი და შურით საქმის წამხდენი გამოუჩნდა ამ საქმეს ქუთაისში ბევრნაირი საშუალება იხმარეს, ათასნაირ ხრიკს მიმართეს ზოგჯერ ცხადად და უფრო კი აქაურთა შემიერ სისხლხორცებულ იდუმალის მოქმედებით და ვნებაც, რაც ასე ადვილია დღეს, საკმარისი მოუტანეს ამ საქმეს. ვინ რა ღონეს და საშუალებებს მართავდა ამ საქმის გამო ჩემთან საბრძოლველად,—ამის დაწვრილებით გამორკვევას მე ახლა არ შევუდგები. ამის დროც დადგება და ყველას ნამოქმედარი სინათლეზე გამოეფინება.

ახლა მხოლოდ მინდა მკითხველის ყურადღება მივაპყრა გუშინწინდელ ამბებს მეგაზეთეების შეუგნებელ ბრძოლისას, რადგან ამგვარმა ბრძოლამ საზოგადო ხასიათი მიიღო და საქმის არ მცოდნეთა და პირად ინტერესებით ნახელმძღვანილებებმა ბევრი უსიამოვნება და გულის ხეთქა მეც შემახვედრეს და უიმისოთაც დაბრკოლებულ გაზეთების საქმეც შეაფერხეს. მერე რა მოხდა ისეთიო, იკითხავს მკითხველი, რომ ამოდენა ლაპარაკი გაგვიმართე გაზეთების ფურცლებზეო?! მოხდა ის, რაც დღეს მაინც არ უნდა მომხდარიყო, დღეს მაინც არ უნდა გამწვავებულიყო ჩემ კანტორასთან ბრძოლა, დღეს მაინც არ უნდა გაემეორებინათ ბრძოლის იმ გვარ საშუალებები და უსაფუძვლო მოთხოვნები, რაც შარშან ამ დროს გამოაშკარავეს სხვა ჯურის ხელმძღვანელთა მეოხებით. მაგრამ, რაკი, როგორც ზევით ვთქვი, საქმეში ან უცოდინარნი ჩაერივნენ, ან ასე თუ ისე დაინტერესებული პირნი ხელმძღვანელობდნენ, ვგონებ, რომ დათვურ მეგობრობის მეტი საქმისთვის არა გაუკეთებიათ რა, და თუ ბოლოს რამე გაკეთდა და გამოირკვა, კანტორის სასარგებლოდ, ვიდრე იმისათვის, ვისიც აჩქარებული აპეკუნობა ასე იკისრეს და ის წვრილმანი მოთხოვნილებანი, რაიც გაფიცულებს უკარნახეს შაბლონურ მოსაზრებებით, ჩემი კანტორა პრაქტიკულად უკვე ახორციელებდა; მხოლოდ მათ ბრძოლის დროს მეგაზეთეების ბევრ სიცრუის ლაპარაკი გამოუძიებლად და შეუმოწმებლად ისე მიიღეს, თითქოს ერთ დიდ ვაჭარ-ექსპლოატატორთან ჰქონდათ საქმე.

საქმე აი რაშია. სამი წელიწადია ბეჭდვითი სიტყვის ხალხში გავრცელების საქმეს ვეწევი. მინდა იგი წესიერ გზაზე დავაყენო, კულტურულ საქმის სახე და ფორმა მივცე, ფართო და მკვიდრი ნიადაგი მოუპოვო, გამოვიყვანო იმ უწესრიგობისაგან, რაც დღემდი მას დასჩემებია და ყველა რედაქცია გაზეთების აგენტურის მოუწყობლობას ემდურის. აი ამ მოუწყობლობის ბრალია, რომ დღეს ჩვენი რედაქციები ძლივს ძლივობით სულს ღაფავენ და მკითხველები უნდა უმადლოდნენ მათის ხელმძღვანელების იდეიურ გატაცებას, თორემ მათ დღემდის უნდა აეღოთ პრესსის სამსახურზე ხელი და იგი ან კოკარდისა, ან კერძო სამსახურზე გაეცვალათ. ამ საქმის მოსაწესრიგებლად არ დამიზოგავს არც ფიზიკური ძალ-ღონე, ცოდნა, არც ნივთიერი შესაძლისობა, რაც გამოიხატა ამ საქმისაგან ანაღების მაზედვე მოხმარებაში და არა ჩემი ჯ.ბ.ს გასქელებაში, როგორც ეს ბევრ მახლობელ და შორებელ ზერელე საქმის მაყურებელს ჰგონიათ. მართლაც, ამ მოკლე ხნის განმავლობაში, რომ არ მოველოდი ისე მოეწო ეს საქმე და ნდობაც შესაფერი დაიმსახურა „კოლხიდამ“. იმედი მქონდა, შემდეგში იგი კაი შემოსავალს დასტოვებდა და საშუალება მექნებოდა იმის გაფართოვებისა, უფრო მკვიდრ ნიადაგზე დაყენებისა.

ამ იმედით შევყურებდი საქმეს და ნათესის მომკას ველოდი, რომ ბოროტმა ენებმა მიმეგობრეს და საქმე ადმინისტრაციის ხელში ჩააგდეს, ხოლო აქედან იგი ოლქის სასამართლოში გადააქვთ. დღეს იძულებული გავხდი უკვე მოწყობილი საქმე დაბა-სოფლებში გაზეთების გზავნისა შემეწყვიტა. შესწყდა ყოველდღიურად ჟურნალ-გაზეთების და ახალ წიგნების გზავნა რაჭა-ლეჩხუმში და იმერეთის სხვა და სხვა მხარეში, სადაც ამ ნიადაგზე კავშირი მქონდა დაჭერილი. დღეს ამ მხარეებიდან მრავალი წერილი მომდის და პირადათაც აგენტები მემუდარებიან, აღვადგინო გაზეთების გზავნა, მაგრამ კანტორამ, ამოდენა ზარალის გამო, ველარ აიტანა ამ ორგანიზაციის ხარჯი და ჯერ-ჯერობით მაინც შეჩერებულია. მოვსპე აგრეთვე ამავე მიზეზის გამო სატახტო გაზეთების და ჟურნალების გამოწერა, რამაც საკმაო ზარალი მომცა 3—4 თვის განმავლობაში. გაზეთები არა სადღებოდა მიუხედავად იმისა, რომ არსად სატახტო ქალაქებს აქეთ, რედაქციების ფასებაში, ე. ი. შაურიანი გაზეთი შაურად არ იყიდებოდა გარდა „კოლხიდისა„ ყველგან სატახტო გაზეთები 7, 8, 10 და ზოგან 15 კაპ. იყიდება. ალბად აქაც ჩვენი უკულტურობა გამოსჭვივის, რის მოსაპოვებლად ყველასთვის ცხადი უნდა იყოს, რომ ცოდნაა საჭირო, ხოლო ამ ცოდნის შემქმნელი საშუალება ხალხში ბეჭვდითი სიტყვის ფართოდ გავრცელებაა.

ასეთ მდგომარეობაში ვიყავ, როდესაც არჩიეს **ჩემთან** (ხაზს განვებ ვუსვამ) ბრძოლა ბეჭვდითი საქმის სრულიად არ მცოდნე პირებმა, დაუჯერეს შეუმოწმებლად სულ უბრალო ფაქტის გამო ატეხილ მეგაზეთეებს და შეათხზევინეს მათის გადაჭარბებული მოთხოვნები, რომლის უმთავრეს მუხლების დაკმაყოფილებაც, ვიცი რა ჩვენი რედაქციების დღევანდელი გაჭირვებული მდგომარეობა, შესაძლისად ვერ ვცანი. საქმის არ მცოდნე ავტორნი ამ მოთხოვნილებათა მოითხოვდნენ ჩემგან $1^1/_2$ კაპ. თითო ცალ გაზეთის გაყიდვისათვის, რაც არსად არც ერთ ქალაქში, სადაც-კი საქმეა მოწყობილი, არ არსებობს. არ არსებობს იგი ისეთ ქალაქებშიაც კი, სადაც (მაგ. პეტერბურგსა და მოსკოვში) გაზეთები ასიათასობით სადღება. ყველგან მეგაზეთეებს ცალ გაზეთზე 1 კაპ ეძლევა და არა $1_1/_2$ კაპ. როგორც ამას ითხოვენ ქუთათური მეგაზეთეები იმ ჩვენებურ გაზეთებისაგან, რომლებიც 3—4000 ც. მეტი არ სადღება საშუალო რიცხვით და რომელთა თანამშრომელნი, კარგად ვიცი, სანახევროდ მშიერ-მწყურვალნი არიან. დღეს კი მათ აუტანელ მდგომარეობას ამ რეაქციის ხანაში აორკეცებს პრესსის სასტიკი დევნა, რომლის მეოხებითაც დღევანდელ გაზეთს ხვალ ველარ ვხედავთ და ხვალინდელი ზეგა ჰქრება. ჩვენი რედაქციების ახლანდელ მდგომარეობაზე მე ამ ჟამად მეტს აღარას ვიტყვი; უმჯობესია საქმის სათავეში მდგომთ თითონ აუხსნან საზოგადოებას, რაკი ეს მარტო ქუთათურთა საკითხი არ არის, შეუძლიანთ თუ არა მათ ამგვარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ეს საკითხი პასუხს ითხოვს და ჩემდათავად საჭიროდ ვთვლი იგი პრესსის საშუალებით გამოირკვეს, რადგან პრესსის არსებობა ამაზეა დამოკიდებული.

ამასთან მადლობას ვუცხადებ იმ რედაქტორთ, რომელნიც ჩემ კანტორასა და მეგაზეთეებს შორის ამტყდარ უთანხმოების საქმეში, ორივე მხარის შეთანხმებით, ჩაერივნენ და მით საშუალება მომცეს დაგვეკანონებინა ორივე მხარისათვის ის წეს რიგი და მოთხოვნილებანი, თუმცა არა სისრულით და დაწვრილებით შემუშავებული, რომელსაც მე პრაქტიკულად დღემდისაც ვახორციელებდი, მაგრამ მას ფარატინა ქაღალდზე ფორმა არ ჰქონდა მიცემული და ორივე მხარის მიერ კანონიერად ხელმოწერილი არ იყო. მადლობა გადვიხდებულ მეგაზეთეებს და მათ გულუბრყვილო აპეკუნებს კი მოეჩვენათ, რომ მე ერთი მეცელგაუმაძღარი და მუდამ კაპეიკების კაპეკებზე დამდები, სიმდიდრის მოხვეჭის სურვილით შეპყრობილი ექსპლოატატორი ვარ და არც აციეს არც აცხელეს, და გადასწყვიტეს, რატომ არ უნდა წავართვათ ზედმეტი ამ ბურჟუასაო. და თუ დღესაც ჩემი გულწრფელი აღსარება არ დაარწმუნებს ჩემ მოწინააღმდეგეებს, სხვა დროს კიდევ მექნება შემთხვევა გამოვაშკარავო ჩემი ამ საქმით გატაცების მიზანი და ამ საქმის სხვა მხარეები.

**ისიდორე გვიცარიძე.**

---

# რუსეთი

**დეპუტატების ძებნა.** ამას წინად ვიბორგში პეტერბურგიდან გაგზავნილი ჯაშუში შეხვდა დეპუტატ ზურაბოვს და განიზრახა მისი დაპატიმრება, მაგრამ გუბერნატორმა ამის ნება არ მისცა და თავის საქციელი იმით დაასაბუთა, რომ ზურაბოვი იმ დეპუტატთა სიაში არ არის, რომელნიც უნდა დავაპატიმროთო. ცოტა ხნის შემდეგ პეტერბურგიდან ბრძანება მოვიდა ზურაბოვის დაპატიმრების შესახებ, მაგრამ გვიანღა იყო: ზურაბოვი მიიმალა. მეორე ასეთივე ამბავი მოხდა იმავე ვიბორგში. ვიბორგის გუბერნატორისთვის შეუტყობინებია რუსეთის მთავრობას, ტერიოკის სასტუმროში ცხოვრობენ დეპუტატები ოზოლი სალტიკოვი, ალექსინსკი და გერუსი და გთხოვთ დააპატიმროთ და პეტერბურგში გამოგზავნოთო. პოლიციამ სასტუმრო გაჩხრიკა, მაგრამ დეპუტატები სადღაც მიმალულიყვნენ. (რ. ვ.).

**პატიმრების გაქცევა.** ამას წინათ დეპეშამ შეგვატყობინა, რომ სევასტოპოლში საპყრობილეს კედელი აუფეთქებიათ და 120 პოლიტიკური ტუსაღი გაქცეულაო. გამოირკვა, რომ 120 კი არ გაქცეულა, არამედ 21, პოლიციამ მთელი ქალაქი გადააქოთა და მხოლოდ ერთი პატიმარის კვალს მიაგნო, მაგრამ პატიმარი პოლიციას ცოცხალი არ დანებდა და თავი მოიკლა. (რ. ვ.).

**გაზეთების აკლება.** ერთი დღის განმავლობაში შემდეგი გაზეთები დააჯარიმეს და დაკეტეს: კიევში „დრუგ ნაროდა“ დააჯარიმეს 300 მანეთით; გაზეთის გამოცემა შეჩერდა. ეკატერინოსლავის გენ.-გუბერნატორმა 300 მანეთით დააჯარიმა „პრიდ. კრაის“ რედაქტორი. რიგადან გააძევეს ბერგი, ლატიშურ გაზეთ „ვესტნისეს“-ის რედაქტორი, რომელიც ამას წინად 1000 მანეთით დააჯარიმეს და რომელმაც ეს ფული გადაიხადა. სევასტოპოლიდან გააძევეს ლიტერატორი ბარიკოვი. პენზის გუბერნატორმა 500 მანეთით დააჯარიმა „ჩერნ. კრაის“ რედაქტორი. მეტის მეტ რეპრესიების გამო ყაზანში დაიკეტა ჩუვაშური გაზეთი „ხიპარი“. „ტოვარიიშჩ“-ის ანგარიშით ორი კვირის განმავლობაში, 3-დან 16 ივნისამდე დააჯარიმეს 26 გაზეთი 26,400 მანეთით და შეაჩერეს 22 გაზეთი.

**საარჩევნო მზადება და ბოიკოტი.** სოც.-რევოლ. პარტიაში დიდი უთანხმოება ხდება. პარტიის ერთი წილი მომხრეა არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა, მეორე წილი კი ბოიკოტის ტაქტიკას ადგია. ამ საკითხის გადასაწყვეტად ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწვია პარტიის საბჭოს კრება.

ასეთივე უთანხმოებამ იჩინა თავი მშრომელთა ჯგუფში. ამ საკითხის გამოსარკვევად მოწვეულ კრებებს პარტიის საპარლამენტო ფრაქციაც დაესწრო. სა გულისხმო ის არის, რომ პარტიის მემარჯვენე ჯგუფი თავგამოდებით იცავს ბოიკოტის ტაქტიკას. მემარცხენენი ბოიკოტს უარჰყოფენ და ამტკიცებენ, რომ ბოიკოტის ქადაგება დროებითი მოვლენაა და იმის მაჩვენებელია, რომ ხალხი სასოწარკვეთილებას მიეცა და დაიღალაო. თუ გამოირკვა, რომ ბოიკოტს სერიოზული პოლიტიკური ხასიათი მიეცა, მემარცხენენიც შეუერთდებიან მას. ბერეზინი, ბულატი და კარტაშევი ბოიკოტის ტაქტიკას მისდევენ, მაგრამ თუ გამოირკვა, რომ ბოიკოტს არავითარი მნიშვნელობა არ ექნება, მაშინ ისინიც გამოიცვლიან აზრს და არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ. უკანასკნელ კრებაზე ბოიკოტისტებმა გაიმარჯვეს.

ებრაელთა სახალხო ჯგუფმა საგანგებო კონფერენცია მოიწვია და ერთხმად გადასწყვიტა მომავალ არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს და სადაც შესაძლებელია საკუთარი კანდიდატები წამოაყენოს და სადაც არა—კადეტებისა და მათ მონათესავე პარტიებს დაუჭიროს მხარი. სოც.-დემ. ცენტრალურ კომიტეტს გადაუწყვეტია არჩევნებში მონაწილეობის მიღება და პროვინციის ორგანიზაციებისათვის შესაფერი მიწერილობა გაუგზავნია.

**უცნაური მოწამე.** კურსკში პოლიციას მიუგნია მაქსიმალისტების კომიტეტის ბინისთვის და მის გასაჩხრეკათ წასულა. ბინაზე რომ მისულან, თან მიუყვანიათ ქუჩიდან ერთი უცნობი, რომელიც კანონის ძალით ჩხრეკას უნდა დასწრებოდა, როგორც მოწამე. პოლიციამ გაჩხრიკა ბინა, [illegible] ვოლიუციო, ლიტერატურა, შრიფტი, საბეჭდი მანქანა, [illegible] მოწამესაც ხელი მოაწერინა და წავიდა. მეორე დღეს აღმოჩნდა, რომ მოწამე მაქსიმალისტების მოთავე ყოფილა და იმ დროს იმ ბინაზე მიდიოდა, რომელიც პოლიციამ გაჩხრიკა. ამ მოწამეს პოლიცია თურმე დიდი ხანია დაეძებს (ნ. ვ.).

**რამდენიმე ათასი უფასო ჯაშუში.** მთავრობამ ამას წინათ დაამტკიცა წესდება ახალ საზოგადოებისა, რომელსაც ოფიციალურად ეწოდა „რევოლიუციის მსხვერპლნი“, ნამდვილად კი ეს არის ცნობილი „საზოგადოება რევოლიუციასთან აქტიურ ბრძოლისა“. საზოგადოებას აზრად აქვს შეკავშირება მთელ რუსეთში რევოლიუციისაგან დაზარალებულთა, მათი მშობლების, ნათესავებისა და მეგობრებისა; საზოგადოება ენერგიულ ბრძოლას უცხადებს რევოლიუციას, აგროვებს ცნობებს იმის შესახებ, თუ სადმე რაიმე შეთქმულება მზადდება, ეხმარება მთავრობას, ეძებს და მთავრობას აძლევს რევოლიუციონერებს, დახმარებას უწევს დაზარალებულთ და სხვ. საზოგადოებას უკვე რამდენიმე ათასი წევრი ჰყავს (ნ. ვ.).

**კარპოვიჩი და გერშუნი.** ბრიუსელში ჩასულან ციმბირიდან გაქცეული გერშუნი და კარპოვიჩი, რომელნიც ლექციების წაკითხვას აპირობენ ევროპის სხვა და სხვა ქალაქებში.

**ფინლიანდიას საფრთხე მოელის.** ამ დღეებში ფინლიანდიის გენ. გუბერნატორი გერარდი ორი თვით დაითხოვეს „დასასვენებლად“. ამის გამო ბიუროკრატიულ წრეებში ხმა გავრცელდა, რომ ამ დღეებში მთავრობა ფინლიანდიის შინაურ საქმეებში აპირობს ჩარევასო. (რ.)

**ფინლიანდიის სოც.-დემოკ.** საპარლამენტო ფრაქციას სეიმში პეტიცია შეუტანია ებრაელთა თანასწორობის შესახებ. პეტიცია თხოულობს, რომ სრული მოქალაქობრივ თანასწორობა მიენიჭოთ იმ ებრაელებს, რომელნიც ფინლიანდიაში დაიბადნენ, აღიზარდნენ, ან რამდენიმე წელიწადი იწცხოვრებს ზემოხსენებულ კანონის გამოცემამდე.

**გენ. დუმბაძე და სკიტალეცი.** იალტის გენ.-გუბერნატორს დუმბაძეს ეტაპით გაუძევებია იალტიდან ცნობილი რუსი მწერალი სკიტალეცი.

---

# მუშების ცხოვრება

**კიდევ „კახეთის“ საზოგადოების შესახებ.** აგერ ერთ თვეზედ მეტია, რაც „კახეთის“ საზოგადოების გამგეობამ და მომწესრიგებელმა კომისიამ მუშებს ანგარიშის მიღება მოსთხოვა და იმათ ბადლად კახეთიდგან ახალი მუშები ჩამოჰყავს სამუშაოდ. რამ აიძულა გამგეობა და კომისია, რომ ასეთი რეპრესიული ზომები მიიღეს მუშების წინააღმდეგ? მიზეზი მხოლოდ თურმე ისა ყოფილა, როგორც ერთს კრებაზედ განაცხადეს, რომ „მუშები სულ წინ, წინ და წინ მიდიან და როდემდის უნდა იარონ ასე წინ, უნდა საზღვარი ჰქონდეს და მართლაც ნებაზედ რო მიუშვათ, იქამდე ივლიან, სანამდე კედელს შუბლს არ ახლიან და არ გაიტეხამენო“. თურმე ეხლა მუშებს კიდეც მიუხწევიათ საზღვრამდე და საჭირო ყოფილა შეჩერება და ამასთანავე უკან დახევა და, მუშებს რომ ეს არ მოუსურვებიათ, ამიტომ თვითონ მოისურვეს და აღსრულებაშიაც მოიყვანეს თავიანთი განზრახვა. მკითხველმა საზოგადოებამ უკვე იცის საქმის გარემოება.

ახალ წესდებაში, რომელიც, ასე თუ ისე ორივე მარიდან შემუშავებული და თითქმის მიღებულიც არის, სხვათა შორის, ნათქვამია: „ყოველი უთანხმოება და კონფლიქტი მუშებსა და გამგეობის შორის სწყდება პროფესიონალურ კავშირთან შეთანხმებით და თუ ამ უკანასკნელთანაც ვერ მოხდა, მაშინ საქმე გადაეცემა სამედიატორო სასამართლოს დაუყონებლივ“. აქ მკითხველი ნათლად დაინახავს, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, მაგრამ, რუსები რო იტყვიან, რაღაც „კაპრიზის“ გამო არ მოისურვეს

არავითარი მესამე პირის ჩარევა საქმეში. გამოდის, რომ ჩვენი ნება და ასე გვსურსო, „უოველთვის ასე ყოფილა და ყოველთვის ასევე იქნებაო." მუშებმა ბოიკოტისთვის მიუმართავთ. როგორც ვიცით, ღვინის სარდაფის მეპატრონე მუშებს კიდეც გამოუშვია ფურცლები.

ბოლოს საჭიროა შევეკითხოთ გამგეობას და კომისიას, რა უფლებით ჰქონდათ ახალ მუშების დაქირავება, როდესაც ძველი მუშები ჯერ არ მოურიგებიათ და რომელთაც არასოდეს არ განუზრახავთ მუშაობის მიტოვება და ყველა შემთხვევაში მზად არიან შეუდგნენ საქმეს? რატომ არა სურთ შეერიგონ მოლაპარაკებით დაწყებული წესდება, რომლის ძალითაც შეუძლიათ იმოქმედონ და მოაწესრიგონ საქმე? **გარეში.**

## წერილი რედაქციის მიმართ

მაქვს პატივი გაუწყოთ შემდეგი:

შარშან, ნოემბერში, გაზეთ „მოგზაურის" რედაქტორს ბ-ნ ფ. მახარაძეს გადავეცი 240 მანეთი დაზარალებულ გურულებისა და ქართლელებისათვის გასაგზავნად. ბ-ნმა ფ. მახარაძემ შესაფერი კვიტანცია მომცა და თან შემპირდა, რომ ეს შემოწირულება «მოგზაურის» შემდეგ დღის ნომერშივე იქნებოდა გამოცხადებული. მაგრამ განვლო ჟამმა და არც „მოგზაურში" და არც იმის შემდეგ გამოსულ ორგანოებში კრინტიც არავის დაუძრავს ამის შესახებ. ამიტომ, თუმცა გვიან, გთხოვთ, ნება მიბოძოთ თქვენის გაზეთის საშუალებით შევეკითხო ბ-ნ მახარაძეს, სად წაიღო ეს ვაი-ვაგლახით შეგროვილი ფული?

პარიზი. **გ. დუნდუა.**

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

23 ივნისი

### რუსეთში.

**ასხაბადი.** კიზილ-არვატში პოლიცმეისტერს ბოროვს და იმის თანაშემწეს ტარანენკოს 6 ყუმბარა ესროლეს და რამდენჯერმე რევოლვერიც მიაყოლეს. ბოროვი უვნებლად გადარჩა, ტარანენკო მოკვდა.

**ბახმუტი.** ბახმუტისა და სოფ. კრემჩენსკის შუა 4 შეიარაღებული კაცი თავს დაესხა რაზმს, რომელსაც 9 პოლიტიკური დამნაშავე მიჰყავდა. ერთი სტრაჟნიკი მოჰკლეს. მეორე დასჭრეს. თავდამსხმელნი და პოლიტიკურები მიიმალნენ. მათ სხვა რაზმი დაადევნეს. 8 კაცი დაიჭირეს, იმათგან 6 პოლიტიკურია და 2 თავდამსხმელი. სამი პოლიტიკური მიიმალა. მესამე თავდამსხმელი სროლის დროს მოკლულ იქმნა.

**ბალტა.** ანანიევის სამაზრო საერობო არჩევნებზე უმეტესობა ოქტომბრისტები და მემარჯვენეები აირჩიეს.

**ოდესსა.** სლობოდკა რომანოვკაში მრეცხავ ქალის პავლოვის სადგომში ყუმბარამ იფეთქა. იქაური მილეწ-მოლეწილია. ორი მუშა ძლიერ დაშავდა; ისინი ყუმბარებს სტენავდნენ. ორი რევოლვერი და ხანჯალი აღმოაჩნდათ. პავლოვის ქალის ბინაზე აღმოაჩინეს ყუმბარების ბუდე და სხვა და სხვა სიმყავით სავსე შუშები. დაჭრილები გამოტყდნენ, დიდი ხანია, რაც ყუმბარებს ვაკეთებთო. პავლოვის ქალი და სამი ვაჟი დააპატიმრეს.

**ირკუტსკი.** 6 გაჯიბრებული ავტომობილი მოვიდა. 23 ივნისს პარიზისკენ ისინი გზას გაუდგებიან.

**პონევეჟი.** პონევეჟიდან 9 ვერსზე კრაკინოვის ფოსტას თავს დაესხნენ. მოჰკლეს ფოსტალიონი. გაიტაცეს 2000 მანეთზე მეტი. თავდამსხმელნი ათნი იყვნენ.

**ბობროვი** საერობო არჩევნებზე უმრავლესობა ოქტომბრისტები გავიდნენ. მემარცხენენი გააშავეს.

**იუზოვკა.** ბერესტოვ-ბოგოდუხოვსკას მადნის მუშებს ანგარიში გაუსწორეს. იმათ ორი კვირის ზედ-მეტი მოითხოვეს. ადმინისტრაციამ მათი მოთხოვნილება არ დააკმაყოფილა. როგორც ვიცით, მადნის სათხრელი ამ დღეებში ცეცხლმა გაანადგურა.

**ვარშავა.** ბერგის ქუჩაზე დამწვარი სახლი გადათხარეს და იპოვნეს 5 საყუმბარო ცილინდრი, ბევრი მილი, მელენიტით სავსე, ყუმბარის საკეთებელი სხვა და იარაღი და ბრაუნინგები.

**ყაზანი.** ვოსკრესენსკის ქუჩაზე, ერთ მაღაზიის უკანა კარებიდან მძარცველები შეიპარნენ სწორედ იმ დროს, როცა კასსირი დღიურ ნავაჭრს ანგარიშობდა. მძარცველებმა რევოლვერები მოუღერეს და 2000 მანეთი მოიტაცეს.

**კიშინევი.** 22 ივნისს საღამოთი „ბოჰემიის" ლუდხანაში ოთხი ტყვიით დასჭრეს უჩროსი გოროდოვოი ზიმენკო, რომელიც 23 ივნისს გარდაიცვალა. ერთი მკვლელთაგანი შეიპყრეს.

**ეკატერინბურგი.** 23 ივნისს 12 საათზე, სალდათების ქუჩაზე მიდიოდნენ ჟანდარმთა როტმისტრი პიშკინი და პოლიცმეისტერი ხლებოდოროვი. მოულოდნელად მათ სროლა აუტეხეს. როტმისტრი მძიმედ დაიჭრა: საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ გზაზე გარდაიცვალა. პოლიცმეისტერი დაედევნა მკვლელებს, მაგრამ ისინი მიიმალნენ. იმ ადგილს ჯარი შემოარტყეს და საყოველთაო ჩხრეკა დაიწყეს.

**პეტერბურგი.** გრადონაჩალნიკმა განკარგულება მოახდინა, ქალაქის განაპირა ადგილებში მდგომმა პოლიციელებმა ბოროტმოქმედთა საშებრად მეძებარი ძაღლები იყოლიონ.

**პოლტავა.** რკინის გზის ხიდის მახლობლად უცნობებმა პოლტავიდან ხარკოვში მიმავალი საქონლის მატარებელი გააჩერეს. გატეხეს ერთი ვაგონი. აურ-ზაურზე ხიდის მცველი სალდათები მიცვივდნენ, მძარცველებიც გაიქცნენ.

**ტულა.** ეპიფანეს მაზრაში გრაფინია გრაბბეს მამულში საბძელს ცეცხლი წაუკიდეს, დაიწვა საბძელი და ბევრი სამეურნეო იარაღი. ეჭვით რამდენიმე გლეხი დააპატიმრეს.

რადგან სოფლებში ცეცხლი ხშირია, გუბერნატორმა სავალდებულო დადგენილება გამოსცა. გლეხები ვალდებულნი არიან: იქონიონ ცეცხლის საქრობი იარაღი და იყარაულონ. თუ ცეცხლი გაჩნდა ან სოფელში ან მემამულის სახლ-კარში, ჩაქრობაში მონაწილეობა უნდა მიიღონ. თუ ცეცხლის წამკიდებელი აღმოჩნდა, უნდა დაიჭირონ და პოლიციას გადაეცეს. ვინც ამას არ აასრულებს, 3 თვით დააპატიმრებენ ან 5000 მანეთით დაიჯარიმებენ. პასუხისგებაში შეიძლება იქმნას მიცემული კერძო პირიც და მთელი სოფელიც.

**ვარშავა.** პეტერბურგ-ვარშავის რკინის გზის შეპეტოვოსა და ლაპის სადგურებს შუა მატარებელს რამდენიმე ყუმბარა ესროლეს და თოფებიც დააყოლეს. მატარებლით ლეიბ-გვარდიის პოლკის ერთი ეშალონი მიდიოდა. ერთი სალდათი მსუბუქად დაიჭრა. ლიანდაგიც ცოტად გაფუჭდა. იპოვნეს 4 ხელით გადასაგდები გრანატა და პატრონები.

**ეკატერინოსლავ.** 8 მძარცველი შეუვარდა მიხაილოვსკის მამულის კანტორას. მოსამსახურენი დააშინეს და ფულის მოგროვება დაიწყეს. პოლიციას შეატყობინეს. მძარცველებმა სროლა ასტეხეს და სუხაჩევკას სადგურს მიაშურეს, საიდაც ორთქლ-მავალზე ახტნენ და მემანქანე აიძულეს უკან წაეყვანა ორთქლ-მავალი. დიევკასთან გადახტნენ, მაგრამ სტრაჟნიკებმა მოუსწრეს. გაიმართა სროლა 2 მოჰკლეს, ერთი დასჭრეს და ორი შეიპყრეს.

**რეველი.** სოფ. პილკაში გასძარცვეს საარყე დუქანი. წაიღეს 273 მანეთი. არყის გამყიდველს ესროლეს, მაგრამ ააცდინეს. ორივე დააპატიმრეს. ერთმა თავი მოიკლა, მეორემ თავი დაიჭრა.

**ახცგარსკი.** პეტრეპავლეს ეკკლესიას ხუთი კაცი დაეცა. შეუვარდნენ ეკკლესიის დარაჯს, მოჰკლეს დარაჯის ფეხმძიმე ცოლი და თვით დარაჯი, მძიმედ დასჭრეს ორი სხვა დარაჯი, ერთის ცოლი და სამი პატარა ბავშვი. მერე ეკკლესიის გასაღების ძებნას შეუდგნენ. მღვდელმა ეს ამბავი გაიგო და ზარის რეკა ასტეხა. უცნობნი გაიქცნენ. ექვსივე დაჭრილი საავადმყოფოში წაიყვანეს: მათი მდგომარეობა უიმედოა.

### უცხოეთში

**როტტერდამი.** «გილგაური»-ს გემის დამცლელმა მუშებმა მუშაობა აღკვეცეს. ხელფასის მომატებას თხოულობენ. სამი სხვა გემის დამცლელნიც მათ შეუერთდნენ. ამ უკანასკნელს 36 ამხანაგთან შეტაკება მოუვიდათ. ხუთი კაცი დაიჭრა, მათ შორის ერთი პოლიციელი. ექვს დატვირთულ გემზე მუშაობა შეჩერდა.

**ნიუ-იორკი.** მინისტრმა მეტკაფმა დაადასტურა, რომ ამერიკა ზამთრისთვის მართლა ჰგზავნის დიდ ოკეანეში 18 ჯავსნოსან გემს. მინისტრი დაიმედებულია, რომ გაზეთები მოსპობენ ჭორებს იაპონიასთან საქმის გამწვავების შესახებ, რადგან არავითარი მიზეზი არ არის, რასაც შეეძლოს დაარღვიოს მეგობრული განწყობილება იაპონიისა და შეერთებულ შტატებს შორისაო.

**გენტბურგი.** მეზღვაურთა კრებამ დაადგინა, მოსპოს გაფიცვა და განაახლოს მუშაობა პირობის დაუდებლად ხელ-ფასის რაოდენობაზე. მუშები დასთანახმდნენ გემების პატრონთა პირობებს. ასეთივე გადაწყვეტილება მიიღეს ახლახან მეშლის მეზღვაურებმა.

**ჰააგა.** ურაგვაის დელეგატებმა კონფერენციაში შემდეგი წინადადება შეიტანას: თუ 10 ერი შეთანხმდა, რომ ურთიერთ შორის უთანხმოება წარუდგინონ გასარჩევად სამედიატორო სასამართლოს, მაშინ მათ შეუძლიანთ შეადგინონ კავშირი, გაერიონ უცხო სახელმწიფოს საქმეშიაც და უფრო სამართლიანად გადასწყვიტონ ორ სახელმწიფოს შორის ატეხილი დავა. პრინციპიალურად ყველა მომხრეა სამედიატორო სამართლისა და ამ კავშირის მონაწილეობის მიღებაზედაც ალბად უარს არ იტყვიან.

**ზაგრები.** სამშობლოში დაბრუნებულ ხორვატულ დეპუტატებს ხალხი მრავლად მიეგება. სადგურებზე სიტყვებს ამბობდნენ. ავსტრიის დეპუტატთა პალატის წევრი ივანჩევიჩი მიესალმა მათ სამხრეთ სლავიანთა კლუბის სახელით. პასუხი გასცა უნგრეთის პალატის წევრმა და ხორვატის სეიმის თავმჯდომარემ მედაკოვიჩმა. მადლობა გამოუცხადა დიდებულ მიღებისათვის და აღნიშნა, რომ ახლა ბრძოლა ბუდაპეშტიდან ზაგრებში გადმოვიდაო. ყოველ დღიურ დემონსტრაციებს ხალხი ნაკლებად ესწრება.

**პარიზი.** გამომძიებელმა უკანასკნელად ჩვენება ჩამოართვა რუსის ქვეშევრდომთ პეტროვს, კარპენკოს და სელეზნევს და დაადგინა, სამართალში იქმნან ისინი მიცემულნი ასაფეთქებელ მასალის შენახვისათვის. აღნიშნული პირები დააპატიმრეს აფეთქების შემდეგ, რომელიც მოხდა იურას ქუჩაზე 6 მაისს.

**მარსელი.** გაზის საზოგადოებაში მოსამსახურეთ მუშაობის აღკვეთა გადაწყვიტეს. იმუშავებენ მხოლოდ მეფარნეები სადამღობით. მუშები თხოულობენ ჯამაგირის მომატებას და კვირაში ერთი დღით დასვენებას. საფაბრიკო შენობას პოლიცია იცავს.

რედაქტორ-გამომცემელი **ე. ავალიშვილი.**

# განცხადებანი

## სანდრო კევლიშვილს

გაზეთ „ისრის" მე-128 №-ში თქვენ დასტამბეთ ჩვენდა მიმართ სრულებით გაუფთხილებელი, უადგილო და შეუფერებელი წერილი, რომელიც თავიდან ბოლომდის ქუჩური სიტყვებით არის სავსე, მაგრამ ჩვენ ამაზე არას გიპასუხებთ, რადგან „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების». რაც შეეხება დანარჩენს, ბატონო სანდრო კევლიშვილო, თქვენ ითხოვეთ შემწეობა, ჩვენც აღმოგიჩინეთ შეძლებისა და გვარად. მიიღეთ თქვენ სასარგებლოდ ორას ოთხმოც მანეთამდის. გვერწმუნეთ, ბატონო სანდრო, ჩვენისთანა ღარიბ გაჭირვებულისათვის ეს პატარა შემწეობა არ არის, მაგრამ თქვენ მადლობის მაგიერ, კიდევაც ილანძღებით; აქედან აშკარადა სჩანს, მალა გაგვიდებიათ; თითქოს თქვენი ვისმეს რამე ემართოს, ისე დაჟინებით გვიბრძანებთ «მომეცით ფულებიო». უნდა გეცოდეთ, რომ ტფილისში ვაჭართა შორის ბევრი თქვენზედ გაჭირვებულიც არის და უფრო ცუდს მდგომარეობაშიაც იმყოფება. ჩვენ მოვალენი ვართ, თუ კი რამ შეძლება იქმნება, უფრო გაჭირვებულთ დავეხმაროთ. თქვენ იკმარეთ ის, რაც წაიღეთ და ესეც იცოდეთ, როცა თქვენი მდგომარეობა გაუმჯობესდება, მოვალე ხართ წაღებული ფული დაუბრუნოთ საზოგადოებას, რომ შემდეგ უფრო გაჭირვებულებს გაუმართოთ ხელი, თუნდა დროებით სესხის მაგვარად.

(1—97—1) **ტფ. წვრილ ვაჭართა ბიურო.**

## პასუხი ბ-ნთ მუქარისჯებს.

რადგან ამ თვის 10-ს მივიღე თქვენ, ვიღაც „კერძო პირების" ხელმოწერით მუქარის წერილი, რომელშიაც მე ჯერ მაქებთ, როგორც პატიოსანს და ხალხის ინტერესების დამცველს და მერე კი მემუქრებით: „მერე სხვა ზომებს მივიღებთო თქვენ გასასწორებლად"; თუმცა „აქამდის ბევრჯერ დაგიცავართ, რომ არავის ეწყეინათ ჩემთვის". მე ამისთანა თქვენი მტერ მოყვარული საქციელი მაკვირვებს და აი რად? თუ პატიოსანი და ხალხის ინტერესების დამცველი ვარ, ჩემი გასწორება ის იქნება, რომ ამ გზას უნდა ამაშოროთ და უპატიოსნო და ხალხის მოღალატედ მაქციოთ, რაც ჩემთვის არასასურველია და თქვენ რად ნებულობთ ამას, ან რად კადრულობთ, ვერ გამიგია? რაც შეეხება იმას, რომ ჩემთან ვიღაც „სიმონფაშა—დაშნაკცაკანი წარმომადგენელი ხულიგანი" სცხოვრობს და იგი უნდა გავისტუმრო უყოყმანოთ", ესეც გადაჭარბებულად და ახირებელ ბრძანებად მიმაჩნია თქვენის მხრივ, ვინაიდან მე ამაზე არამც თუ დარწმუნებელი, ეჭვიც ვერ შემიძლიან მივიტანო და, მიტომ უმიზეზოდ, რა უფლებით და როგორ შემიძლიან ვინმე დავითხოვო. მხოლოდ თუ გნებავთ თქვენი მოთხოვნა ასრულო, კეთილ ინებეთ და გამოგვიწვიეთ სამედიატორო სამართალში მეც და თქვენგან მოძულებული სიმონ-ფაშა, დაამტკიცეთ თქვენი შეხედულობა, აზრის სიმართლე და მეც მაშინ უყოყმანოდ ავასრულებ ყველაფერ დაკისრებულს სამართლისაგან. უამისოდ თქვენთვის ც საკადრისი არ არის ვისიმე დამუქრება, გატალახიანება და მეტადრე მოკვლა. არამც თუ სამშაურიანი, როგორც თქვენ სწერთ, არამედ სამ კაპეიკიანი ტყვიითაც შეიძლება ადამიანის წუთისოფელს გამოსალმება, მაგრამ საქმე ტყვიის სიიაფეში კი არ უნდა იყვეს, არამედ სიმართლეში. უამისოდ პასუხის მგებელნი იქნებით კაცურ-კაცობის და სინიდისიერების წინაშე.

სამ. სამართალში გამოწვევის მოლოდინში დავშთები თქვენგნივ დამუქრებული **ვანო ხოშიაშვილი.** (1—98—1)

### პირველი კერძო სამკურნალო

# დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
**ყოველ დღე, კვირეებს გარდა.**
**ექიმები:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.
**გ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
**ზ. ი. ზაზანაშვილი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.
**მ. გ. ავეტიზიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**გ. ი. გელაშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**ა. მ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.
**ა. ი. შმერლინინა:** 1½—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.
**გ. ი. გურგენოვი;** —2 საათ. ქალებისა და საბებიო.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი**
(150—ხალ.—101)

## წვრილი ვაჭართა ბიურო.

ჩვენი წერილი, რომელიც მოთავსებული იყო „ისრის" მე-127 №-ში ვაჭართა მიმართ, რითაც ვატყობინებდით სოსიკო მერკვილაძეს მოქმედებას ამხანაგობა „პროგრესის" შესახებ, ნაცვლად ს. მერკვილაძისა პასუხს გვაძლევს წვრილ ვაჭართა ბიურო „ისრის" მე-135 №-ში. ამით ვაცხადებთ, რომ ჩვენ წ. ვ. ბ. არავითარი საქმე არა გვქონია და არცა გვაქვს ამ საქმის შესახებ და მათ წერილს ამიტომ არ ვიღებთ, და თუ წ. ვ. ბ-როს ესაქმება რამე ჩვენთან, გამოაცხადოს გაზეთის საშუალებით და უკე თუ ის შეეხება ისევ რ. მ. მისარჩლებას, მაშინ, როდესაც მერკვილაძესთან გავასწორებთ საქმეს, თქვენც მოგართმევთ პასუხს.

**ამხანაგობა „პროგრესი"** (1—181—1)



1—2 მან. აიღებს მსურველი დღეში.

# საჭიროა

**თანამშრომელნი ორისავე სქესისა**

საქსოვ სამუშაოსთვის ჩვენ მსწრაფლ-მქსოველ მანქანებზე. რისამე წინდაწინვე ცოდნა საჭირო არ არის. მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. საქონელს ჩვენ თვითონ ვყიდით. პირობებს უფასოდ უგზავნით.

### პირველი კავკას. ამხანაგობა

მსწრაფლ-მქსოვ მაშინებისა შინაურ წარმოებისთვის.

ადრესი: Тифлисъ, Верійскій спускъ д. 15 и 5. (100—71—39)

**მხოლოდ** იმის წყალობით, რომ 25 წლის პრაქტიკა მქონდა და თვალყურს ვადევნებდი, უმაღლესს კულტურამდე განვავითარე **კეფირი**. ყველას შეუძლიან დარწმუნდეს, რომ

# კეფირი
## ო. კორონისა

კონკურენციის გარეშეა. კარგის თვისებისთვის იგი მოწონებულია ტფილისის სამკურნალო განყოფილებისაგან და დაჯილდოვებული სამის მედალით სამს გამოფენაზე. მიღებული აქვს აგრეთვე მრავალი მადლობა მომხმარებელთაგან. **კეფირი** ჩემის სახელოსნოსი უმატებს სიმძიმეს და გამოლეულ ძალას, აგრეთვე მკურნალობს: სისხლნაკლებობის, კუჭის კატარის, სიყვითლის, სურავანდის და ჭლექის დროს. ამშვიდებს ნერვებსაც.

ჩემ დაწესებულებაში შეიძლება მსურველმა მიიღოს

### ლაქტობაცილინის რძე,

მომზადებული პროფ. მეჩნიკოვის საშუალებით.

5 აპრილიდან მზადდება

**კუმისი**

მსურველთ შეიძლება სახლში გაეგზავნოთ. ადრესი: ლორის-მელიქოვის ქ., სემინარიის პირდაპირ.

(50—ხალ.—34) პატივ. **ო. კორონა.**

# ანგარიშთა მდგომარეობა

ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა.

1 ივნისს 1907 წელს.

აქტივი (აქვს).

| | | მან. | კ. |
|---|---|---|---|
| I. კასსა, ნაღდი ფული | | 12458 | 25 |
| II. სახელდახელო ანგარიში ქუთ. გან. აზ. დ. კ. ბანკში | | 2025 | 93 |
| III. სარგებ. ქაღალ. | | | |
| ა) სათადარიგო თანხ. ანგარ. | მ. 300,— | | |
| ბ) საზოგადოების ანგარ. | „ 702,50 | 1002 | 50 |
| IV. განაღდება თამასუქებისა, არა ნაკლებ ორის ხელის მოწერით | | 44028 | 10 |
| V. განაღდება სარგ. ქაღალდ. ... კუპონები | | 3731 | 53 |
| VI. პროტ. წასული თამასუქ. (უზრუნ. ყოფ. თანხ. იხ. გ. პას.) | | 4140 | 07 |
| VII. სესხი გაც. გირავ. | | | |
| ა) სარგ. ქაღალდები უზრ. ყოფ. სარგ. | „ 160,— | | |
| ბ) სარგ. ქაღალდები არა უზრ. ყოფ. მთავ. მიერ | „ 11481,53 | | |
| გ) შავ. ქვაზ. (1510000 ფ.) | „ 27758,90 | 40400 | 43 |
| დ) საქონელზედა | „ 1000,— | | |
| VIII. კორესპონდენტ. | | | |
| ა) იმათ. ანგარ. | მ. 4848,01 | | |
| ბ) საზოგ. „ | „ 262,92 | 5110 | 93 |
| IX. გერბ. ქაღ. და თამ. | | 172 | 90 |
| X. გარდამავ. თანხა | | 8627 | 27 |
| XI. მოწყობა-გამართვა საზოგად. | | 1982 | 83 |
| XII. მოვალ. საზოგ. | | 410 | 28 |
| XIII. ხარჯი დასაბრ. | | 148 | 14 |
| XIV. ზარალი 1905 წ. | | 283 | 86 |
| XV. მიმდინარე ხარჯი | | 3729 | 19 |
| **ბალანსი.** | | 128252 | 81 |

(შართებს) პასსივი.

| | | მან. | კ. |
|---|---|---|---|
| I. თანხა,რაიცა შეიქმნა 10% შემ. საფ. ფულით 215 წევრთა მიერ, მიუღებელ ვალდ. რაოდ. წონაზე | | 19760 | — |
| II. დასარ. თანხები ფული, თანახმად §§ 12 და 14 წეს. | | 208 | 29 |
| III. თანხა: | | | |
| ა) სათადარიგო | მ. 752,40 | | |
| ბ) პროტ. | „ 769,53 | | |
| გ) პროტ. წას. თამასუქ. უზრ. საყ., შემდგ. 1906 წ. მოგებიდ. | „ 5119,23 | 6641 | 16 |
| IV. შემოტ. ფული: | | | |
| ა) სახელდ. ანგ. | მ. 49609,77 | | |
| ბ) ვადით | „ 17998,31 | | |
| გ) უვადოთ | „ 700,— | 68308 | 08 |
| V. განაღდ. თ. მას. საზოგ. მიერ ქუთ. განყ. აზ. დ. კ. ბანკში | | 4920 | — |
| VI. საგანგებო სახელ. ანგარ. უზრუნვ. ყოფილი სარგებ. ქაღალდ. | | 334 | 96 |
| VII. სესხი აღებ. საზ. მიერ შავი ქვის გირავნობით | | 10000 | — |
| VIII. კორესპონდენტ. | | | |
| ა) იმათის ანგ. (Loro) | „ 5838,36 | | |
| ბ) საზგ. ანგარ. (Nostro) | „ 1890,53 | 7728 | 89 |
| IX. გადასაგზ. შემოტ. ფული | | 400 | — |
| X. გარდამავ. თანხა | | 3928 | 92 |
| XI. სარგებელი გარდ. | | 221 | 47 |
| XII. 5% სახელ. გარ. | | 2 | 63 |
| XIII. წმინდა მოგება 1906 წ. | | — | — |
| XIV. შემოსული სარგებელი, გამოკლებით გასულისა | | 5798 | 41 |
| **ბალანსი.** | | 128252 | 81 |

თავმჯდომარე გამგეობისა **თავ. კ. გ. აბაშიძე.**
ბუჰგალტერი **სოფ. ტარუაშვილი.**

დირექტორები: **თ. ვ. ჯაყელი. ა. ზ. გალუსტოვი**